


ეკონომიკური პროფილი №20 ECONOMIC PROFILE





KUTAISI UNIVERSITY 2020

**ქუთაისის უნივერსიტეტის რეფერირებადი
და რეცენზირებადი საერთაშორისო
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი**

**ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი.**

**ამასთან, მისი პოზიცია შესაძლოა არ ემთხვეოდეს ჟურნალის
სარედაქციო კოლეგიის მოსაზრებებს.**

**აკრძალულია ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამრავლება
და გამოქვეყნება კომერციული მიზნებისათვის**

**REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL
SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL
OF KUTAISI UNIVERSITY**

Each author is responsible for the accuracy of the article in
this journal. His/her position may not coincide with the
opinions of the editorial board.

Reproduction on distribution of the materials published in
this journal for commercial purposes is strictly prohibited.

www.economicprofile.org

ISSN 1512-3901

სარედაქციო საბჭო

ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული საბჭო: გოჩა თუთბერიძე (თავმჯდომარე, ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი); თეონა გრიგოლაშვილი (ქუთაისის უნივერსიტეტი); ნიკოლოზ ჩიხლაძე (ქუთაისის უნივერსიტეტი); გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი);

სარედაქციო კოლეგია: პროფესორი ნიკოლოზ ჩიხლაძე (მთავარი რედაქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტი); პროფესორი იოსებ არჩვაძე (ქუთაისის უნივერსიტეტი); პროფესორი გივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი ბადრი გეგზაია (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი როსტომ ბერიძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი ლია ელიავა (ქუთაისის უნივერსიტეტი); პროფესორი მირზა ხიდაშელი (ქუთაისის უნივერსიტეტი); პროფესორი პანტელეიმონ კლდიაშვილი (ქუთაისის უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი ნაირა ვირსალაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი ხათუნა შალამბერიძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი გურამ უფლისაშვილი (ქუთაისის უნივერსიტეტი); ლაშა ბერიძე (წმ. ტბელ აბუსერისძის უნივერსიტეტი); პროფესორი აზა იფშირაძე (ქუთაისის უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი გოდერძი შანიძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი ნანა შონია (აკაკი

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი აკაკი ბაკურაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი მურმან ცეცხლაძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი ციური დურული (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი იური პაპასქუა (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი გიორგი ლავთაძე (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი); პროფესორი რევაზ შენგელია (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); პროფესორი პაატა კოლუაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი); პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი ლოიდ ქარჩავა (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი); ნანა რინკიაშვილი (იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი ინეზა გაგნიძე (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოც. პროფესორი ნინო ფარესაშვილი (ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი (წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქართული უნივერსიტეტი); პროფესორი მიხეილ ჯიბუტი (წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქართული უნივერსიტეტი);

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები: პროფესორი **სერგეი ლუკინი** (ბელორუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ასოცირებული პროფესორი **იულიან იგნატოვი** (ალექსანდრუ იოან კუზას უნივერსიტეტი, რუმინეთი); ასოცირებული პროფესორი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, **ვერა კომაროვა** (დაუგავპილსის უნივერსიტეტი, ლატვია); ასოცირებული პროფესორი **ევენი გაიდანკა** (ტრნავას უნივერსიტეტი, სლოვაკეთი); პროფესორი **ლევან ჩიხლაძე** (რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი); პროფესორი **სერგეი ზახარინი** (ეკონომიკური განვითარების კვლევითი ინსტიტუტი, უკრაინა); ასოცირებული პროფესორი **თეიმურაზ აბესაძე** (სამხრეთ ნორვეგიის უნივერსიტეტი, ნორვეგია); პროფესორი **ელენა ბაკულიჩ** (ტრანსპორტის ნაციონალური უნივერსიტეტი, უკრაინა)

EDITORIAL BOARD:

ORGANIZATIONAL-ADMINISTRATIVE BOARD:

Gocha Tutberidze (Chairman, Rector of Kutaisi University); **Teona Grigolashvili** (Kutaisi University), **Nikoloz Chikhladze** (Kutaisi University); **Givi Bedianashvili** (European University);

MEMBERS OF EDITORIAL BOARD:

Professor **Nikoloz Chikhladze** (Chief Editor, Kutaisi University); Professor **George Gvartadze** (Georgian National University); Professor **Joseph Archvadze** (Kutaisi University); Professor **Givi Bedianashvili** (European University); Associated Professor **Badri Gechbaia** (Batumi Shota Rustaveli State University); Professor **Rostom Beridze** (Batumi Shota Rustaveli State University); Professor **Lia Eliava** (Kutaisi University); Professor **Mirza Khidasheli** (Kutaisi University); Professor **Panteleimon Kldiashvili** (Kutaisi University); Associated Professor **Guram Uphlisashvili** (Kutaisi University); Professor **Aza Iphshiradze** (Kutaisi University); Associated Professor **Akaki Bakuradze** (Akaki Tsereteli State University); Associated Professor **Khatuna Shalamberidze** (Akaki Tsereteli State University); Associated Professor **Lasha Beridze** (St. Tbel Abuserisdze University); Associated Professor **Naira Virsaladze** (Akaki Tsereteli State University); Associated Professor **Goderdzi Shanidze** (Akaki Tsereteli State University); Professor **Nana Shonia** (Akaki Tsereteli State University); Professor **Tsiuri Duruli** (Gori State Teaching University); Professor **Iury Pappasqua**

(Sokhumi State University); Associated Professor **Murman Tsetskhladze** (Batumi Shota Rustaveli State University); Professor **Revaz Shengelia** (Georgian Technical University); Professor **Paata Koguashvili** (Georgian Technical University); Professor, Academician of the National Academy of Science of Georgia **Avtandil Silagadze** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Associated Professor **Loyd Karchava** (Caucasus International University); Associated Professor **Ineza Gagnidze** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Associated Professor **Nino Paresashvili** (Ivane Javakhishvili Tbilisi State University); Professor **Mikheil Tokmazishvili** (St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia); Professor **Nana Rinkiashvili** (Iakob Gogebashvili Telavi State University); Professor **Mikheil Jibuti** (St. Andrew the First Called Georgian University of Patriarchate of Georgia);

FOREIGN PART OF EDITORIAL BOARD MEMBERS:

Professor **Levan Chikhladze** (Peoples' Friendship University of Russia, Russia); Associate Professor **Iulian Ichnatov** (Alexandru Ioan Cuza University, Romania); Professor **Siarhei Lukin** (Belarus State University, Belarus); Lead Researcher, Ph.D., **Vera Komarova** (Daugavpils University, Latvia); Professor **Sergii Zakharin** (Research Institute for Economic Development, Ukraine); Associated Professor **Teimuraz Abesadze** (University of Southeast Norway, Norway); Professor **Olena Bakulich** (National Transport University, Ukraine); Associate Professor **Yevheniy Haydanka** (Trnava university, Slovakia).

სარჩევი
CONTENT

COVID-19 და მისი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები
COVID-19 AND ITS SOCIO-ECONOMIC CHALLENGES

იოსებ არჩვაძე
სწავლებისა და საქმიანობის ფორმატის ტრანსფორმაცია
კორონავირუსის პანდემიის პირობებში.....8
Joseph Archvadze
TRANSFORMATION OF THE FORMAT OF STUDY AND WORK IN THE CONTEXT
OF THE CORONAVIRUS PANDEMIC.....18

ბორის ჭიჭინაძე
საქართველოს მაკროეკონომიკური გამოწვევები მსოფლიო პანდემიის ფონზე.....21
Boris Tchitchiinadze
GEORGIA'S MACROECONOMIC CHALLENGES AGAINST THE
BACKGROUND OF THE WORLD PANDEMIC.....29

დარეჯან ჩხიროძე
პანდემიური და პოსტ-პანდემიური გარემოს ეკოლოგიური მდგრადობა.....31
Darejan Chkhirodze
ECOLOGICAL SUSTAINABILITY OF PANDEMIC
AND POST-PANDEMIC ENVIRONMENTS.....35

თეა ვალიშვილი, ლია გენელიძე, იაგორ ბალანჩივაძე
საბანამართლებლო სისტემის გამოწვევები პანდემიურ პირობებში
და მათი გადაჭრის გზები - საქართველოს გამოცდილება.....37
Tea Valishvili, Lia Genelidze, Iagor Balanchivadze
THE CHALLENGES FACING THE EDUCATION SYSTEM INTO PANDEMIC CONDITIONS
AND WAYS TO SOLVE THEM – GEORGIAN EXPERIENCE.....37

ციცინო დავითულიანი
COVID-19-ის გავლენა საქართველოს ტურიზმის სექტორზე.....43
Tsitsino Davituliani
COVID-19 IMPACT ON THE GEORGIAN TOURISM SECTOR.....49

მაკროეკონომიკა, ფინანსები
MACROECONOMICS, FINANCE

ნინო ორჯონიკიძე
ეკონომიკური თავისუფლების ადგილი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში.....53
Nino Orjonikidze
THE PLACE OF ECONOMIC FREEDOM IN
THE ECONOMIC POLICY OF THE COUNTRY.....58

როლანდ ბრეგვაძე „პასუხისმგებლობის დაზღვევის“ განვითარება საქართველოში (2008-2018 წლების ანალიზი).....	60
Roland Bregvadze DEVELOPMENT OF «LIABILITY INSURANCE» IN GEORGIA FOR THE LAST 10 YEARS» (OVERVIEW OF 2008 - 2018).....	60
ნინო ლიპარტელიანი რა მსოფლმხედველობა კვებავს კრიპტოვალუტის არსებობას?.....	73
Nino Liparteliani WHAT WORLDVIEW FEEDS THE EXISTENCE OF CRYPTOCURRENCY?.....	79
გიორგი აბუსელიძე, ლაშა ბერიძე სახელმწიფო შესყიდვების გავლენა ბიზნეს საქმიანობის აქტივობაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე.....	81
Giorgi Abuselidze, Lasha Beridze IMPACT OF PUBLIC PROCUREMENT ON STIMULATING BUSINESS ACTIVITIES AND ECONOMIC DEVELOPMENT.....	81
ძოჭენიძე ციცინო ევროკავშირში ხორვატიის ინტეგრაციის პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები.....	92
Tsitsino Dzotsenidze POLITICAL AND ECONOMIC CONSEQUENCES OF CROATIA'S EU INTEGRATION	92

მენეჯმენტი, ეკონომიკის რეალური სექტორი **MANAGEMENT, THE REAL SECTOR OF THE ECONOMY**

ნაირა ვირსალაძე შინამეურნეობა - მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ერთეული.....	98
Naira Virsaladze HOUSEHOLD - AN IMPORTANT INSTITUTIONAL UNIT.....	107
გოდერძი შანიძე თანამედროვე ბიზნეს სტრუქტურაში რისკის მენეჯმენტის მომსახურების აუცილებლობის შესახებ.....	109
Goderdzi Shanidze IN A MODERN BUSINESS STRUCTURE, A RISK MANAGEMENT SERVICE IS PREFERRED.....	109
ნათია კურდღელია მცირე და საშუალო საწარმოთა სტანდარტების შედარებითი ანალიზის ზოგიერთი ასპექტი: საქართველო და ევროკავშირი.....	113
Natia Kurdgelia SOME ASPECTS OF COMPARATIVE ANALYSIS OF SME STANDARDS IN THE EU AND GEORGIA.....	113

COVID-19 და მისი სოციალურ- ეკონომიკური გამოწვევები

COVID-19 AND ITS SOCIO-ECONOMIC CHALLENGES

სწავლებისა და საქმიანობის ფორმატის ტრანსფორმაცია კორონავირუსის პანდემიის პირობებში

იოსებ არჩვაძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო
ioseb.archvadze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსის პანდემია, დისტანციური სწავლება, ონლაინ ურთიერთობები, აკადემიური პერსონალი, გაუსხობა.

J.E.L. classification: A29, E32, F68

ანოტაცია

კოვიდ-19-თან დაკავშირებული გლობალური პანდემია განსაკუთრებით აქტუალურს ხდის არა მარტო მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დაცვის საკითხებს, უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემატიკას, არამედ სწავლებისა და განათლების პროცესის, ცოდნის გადაცემის ორგანიზაციულ და მეთოდურ, სამეცნიერო და სტუდენტური კოლექტივების ფორმირებისა და ურთიერთობის საკითხებს. აღნიშნული გარემოება დიდწილად განაპირობებს არა მარტო სამეცნიერო და სასწავლო პროცესების, არამედ შრომის ბაზრის ფორმირების და განვითარების პერსპექტივებს.

შესავალი

კორონავირუსის პანდემიამ გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი და მოთხოვნა-მიწოდების საგრძნობი შემცირება. მან მძლავრი ბიძგი მისცა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას და მათ მასობრივ გამოყენებას, უფრო მეტიც - ეკონომიკური ციკლის ახალი გრძელი

ტალღის დაწყებას. იგი მსოფლიო თანამეგობრობის ერთგვარი შემოწმებაცაა და გამოწვევაც - თუ რამდენად შესწევს უნარი სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს ეკონომიკის გაცივრება, გადაიყვანოს წარმოება ახალ ტექნოლოგიურ საფეხურზე, რომელსაც მოაქვს ფიზიკური, ციფრული და ბიოლოგიური ტექნოლოგიების სინთეზი, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, განახორციელოს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია.

წარმოების, შრომისა და სწავლის, პროცესის ორგანიზების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ფორმები ემსახურება ორ ძირითად მიზანს - მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. სწორედ აღნიშნულ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ გამოყენება სწავლა-განათლებლასა და სამეცნიერო-საწარმოო პროცესებში, სადაც ეს ტექნოლოგიები, სწავლების, საქმიანობისა და შრომითი ურთიერთობების ოპტიმალური ფორმების ძიებას „ცდებისა და შეცდომების“ მეთოდის გამოყენებით ახორციელებენ. (არჩვაძე, 2020:46)

ინტერნეტი, ტელესაკომუნიკაციო თანამედროვე საშუალებები უკვე იძლევიან შესაძლებლობას საზოგადოების დაინტერესებულმა წევრებმა მიმართონ სპეციალურ ღია ონლაინ-კურსებს თავიანთი ამჟამინდელი თუ საინტერესო, პერსპექტიული სპეციალობის მიხედვით, საკუთარი ცოდნისა და დაოსტატების (დახელოვნების) გასაღრმავებლად. კორონავირუსის პანდემიამდე ასეთი კურსების მსმენელთა რაოდენობა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფაქტობრივად უკვე უტოლდებოდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობას, უახლოეს წლებში კი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს მას. ეს სრულად ეწერება სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებებით გამოწვეულ life-long learning (სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე) ტრენდში, რომელიც ფაქტობრივად უკარგავს სამი დემიჩიო სტატუსს „შემენილ პროფესიას“. შესაბამისად, გლობალური პანდემია განსაკუთრებით აქტუალურს ხდის უმუშევრობისა და დასაქმების საკითხებს, მათ შორის დისტანციური საქმიანობის ფორმატისა და შესაძლებლობების, სწავლისა და განათლების პროცესთან მათ დაკავშირებას.

გლობალური პანდემიის არასრულ ერთი წლისთავზე უკვე ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ პრაქტიკულად უკვე მნიშვნელოვნადაა შეცვლილი სწავლების მოძველებული (აუდიტორული ლექციები და სემინარები) ფორმები. უმაღლეს სასწავლებლებს „სწრაფი ჭადრაკის“ რეჟიმში უხდებათ სასწავლო მეთოდების სერიოზული გადამუშავება და სწავლების ტრადიციულ ფორმებზე დიდწილად უარის თქმა. - ლექციების ფორმა ხომ ფაქტობრივად არ შეცვლილა XVI–XVII საუკუნეებიდან.

COVID-19-მა „გზა გაუხსნა“ სწავლებისა და

საქმიანობის დისტანციურ ფორმას. ონლაინ გაკვეთილებს, ლექციებს, ვიდეოთათბირებს, რომლებსაც პანდემიამდე, როგორც წესი, ეპიზოდური ხასიათი ჰქონდათ, პანდემიის პირობებში კი მასობრივი ხასიათი მიეცათ.

რა თქმა უნდა, სწავლებისა და საქმიანობის დისტანციურ, ონლაინ ფორმას თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები, ეფექტიანობის ზღვრული დონე და შესაძლებლობები გააჩნია, თუმცა გვსურს ქვემოთ აქცენტი გავაკეთოთ უშუალოდ გადაცემული ცოდნის ეფექტიანობასა და ამ ასპექტით ონლაინ ფორმატის გამოყენების მოსალოდნელ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე.

ცოდნა მრავალფუნქციური ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრას ართმევს თავს. ამის გათვალისწინებით, სასწავლო დაწესებულებამ უნდა შეაიარაღოს ახალგაზრდა ცოდნით, რომელსაც ექნება არა უბრალოდ ინფორმაციული დატვირთვა, არამედ მაღალი გამოყენებითი ღირებულება და შესაბამისი უნარ-ჩვევები. (გვახსენდება ცნობილი საბჭოთა სატირიკოსი მსახიობის არკადი რაიკინის რეპრიზა, რომელშიც ის წარმოების ხელმძღვანელის სახელით მიმართავს მასთან სამუშაოდ მისულ ახალბედა სპეციალისტებს: „დაივიწყეთ ინდუქცია და დედუქცია, აწარმოეთ პროდუქცია!“ – ავტ.)

პანდემიის პირობებში კი ამ ამოცანების აღსრულებას სერიოზული საფრთხე ექმნება: ირღვევა სწავლების, ცოდნის გადაცემის ტრადიციული ფორმები და საკმაოდ ბუნდოვანი ხდება ბაზრის მოთხოვნები ეკონომიკის სერიოზული შეკუმშვის გამო. ამგვარი მდგომარეობის გამო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობა ქვემოთ დაშვებული სპირალის მსგავს ორბიტაზე იმყოფება: ერთი მხრივ, ონლაინ სწავლება ზოგავს სახსრებს აუ-

დიტორიებზე, მათ შენახვა-ექსპლუატაციაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ნიშნავს სტუდენტთა შესაბამისი ხარჯების შემცირებასაც, მათი მობილურობის გეგმების შესაბამის კორექტირებასაც, რაც მოითხოვს როგორც სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაციის, ისე სახელმწიფოს მხრიდან ახლებური, შეცვლილი სასწავლო-საგანმანათლებლო და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. ფაქტობრივად, სულ უფრო მწვავედ ისმება საკითხი, რომ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების შემოსავლები და ფინანსები რაც შეიძლება ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული სტუდენტთა (მათი მშობლების, ახლობლების, სპონსორების, და სხვ.) მიერ სწავლის დაფინანსებაზე. - აღნიშნული ხარჯები თავის თავზე მთლიანად უნდა აიღოს სახელმწიფომ, რაც მოსპობს ჩამორჩენილი და უდისციპლინო სტუდენტების შესაბამის კონტინგენტში დატოვების (შენარჩუნების) მოტივს და საგრძნობლად გაზრდის მათდამი მოთხოვნისა და სწავლების ხარისხს.

რა ადგილი შეიძლება დაიკავოს პანდემიის პირობებში ონლაინ სწავლებამ?

ზოგადად (-პანდემიასთან კონტექსტში მოხსენიების გარეშე), ონლაინ ფორმატით სწავლების პროცესის უპირატესობა ცალსახაა სწავლების იმ სპეციალობებით, რომელთა ძირითადი საქმიანობა ასევე ონლაინ რეჟიმში განხორციელების პერსპექტივით ხასიათდება. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ონლაინ ფორმატი სოციალური ურთიერთობების სპეციფიკური, ფაქტობრივად კი სუროგატული ფორმაა და მას ნაკლებად მოყვება პროფესიული და პიროვნული თავდაჯერებულობა და კომუნიკაბელურობა. ასე რომ, ბაგირის გადაჭიმვის ნაცვლად

სწავლების ონლაინ და ოფლაინ ფორმებს შორის აუცილებელია მათ შორის ოპტიმალური თანაფარდობის მოძებნა - ურთიერთჩანაცვლების ნაცვლად ურთიერთშეცვლების კონტექსტით.

უმაღლესი სკოლები, უნივერსიტეტები COVID-19-მა ორმაგი დარტყმის საფრთხის წინაშე დააყენა: ერთი მხრივ, ონლაინ სწავლება ამცირებს, როგორც უკვე ითქვა, აუდიტორიების აუცილებლობას, ამ უკანასკნელებზე მოთხოვნილებას, გაჩნდა ცდუნება, რომ სალექციო დარბაზებს შეეცვალოთ პროფილი და აღნიშნული ტენდენცია სრულად ეწერება ზოგადად საოფისე ფართების ფუნქციებისა და გამოყენების ფორმების ტრანსფორმაციაში;

მეორე მხრივ კი, სოციალური დისტანცირების გაზრდილი მოთხოვნილებანი დღის წესრიგში აყენებს ყოველ აუდიტორიაში სტუდენტთა შეზღუდული რაოდენობის ყოფნას, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, ზრდის მოთხოვნას შესაბამის ფართობზე (ან უკიდურეს შემთხვევაში, რამდენიმე ცვლაში სწავლების პროცესის ორგანიზებას).

ამის პარალელურად, პრაქტიკით დასტურდება, რომ ონლაინ-კურსები დაინტერესებულ პირთათვის ტრადიციულ ლექციებზე არანაკლებ მამობილიზებელია. - ონლაინ-ლექციების მოსმენა შეიძლება ნებისმიერ ხელსაყრელ დროს - სახლში, მგზავრობისას, სხვადასხვა მიზეზთა გამო რიგში დგომისას და ა.შ. რადგანაც ეს კურსები პიროვნების სუბიექტური არჩევანია და არა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მისთვის თავსმოხვეული (რომელთა მიმართ სტუდენტთა „ინტერესი“ უმეტესწილად დასარიცხი კრედიტების რაოდენობით შემოიფარგლება...), ათვისების ხარისხი - უფრო მყარია; აღნიშნული კურსების საფუძველზე მიღებული ცოდნა/განათლება სულ უფრო მეტად

წონადი (გა)ხდება სამსახურში თანამშრომელთა შერჩევას. შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიების წყალობით განათლება (გა)ხდება უფრო ფორმალური, უფრო მეტად გავრცელებული და შესაბამისად, უფრო დემოკრატიული და ეგალიტარული.

დისტანციურად სწავლა, ერთი შეხედვით ცალსახა უპირატესობისა (მოსახერხებელია, ეკონომიურია - ზოგავს სატრანსპორტო ხარჯებს, დროს, ეგალიტარულია და ა.შ.), მაინც სუბსტიტუტია - იგი ანაცვლებს, მაგრამ ვერ ცვლის ლექტორისა და სტუდენტის (ისევე, როგორც აკადემიური პერსონალის ერთმანეთთან) ურთიერთობების მთელ გამას. ამასთან, იგი ვერ ჩაანაცვლებს სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრების ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა ერთმანეთთან ცოცხალი ურთიერთობები, ერთობლივად მონაწილეობა სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებებში (დაბადების დღის აღნიშვნა, ლაშქრობები, ზოგადად, ტურიზმი და ა.შ.). ონლაინ ფორმატში შესაძლებელია ცოდნის გადაცემა, თუმცა კულტურის ნიუანსები, როგორიცაა ქცევის, შემოქმედების, თავისებურებები და მათი ეროვნული თუ რეგიონული აღქმა, იუმორი და ა.შ., ონლაინ ფორმატში ფაქტობრივად არ/ვერ გადაეცემა და „არ/ვერ ისწავლება“... ხატოვნად რომ წარმოვიდგინოთ, ონ-ლაინ სწავლება და ურთიერთობა - ეს ტრადიციულად ბრტყელ თეთრ ეკრანზე გაშვებული ფილმია, აუდიტორული სწავლება კი - 3D ფორმატში ნაჩვენები ფილმი.

უნდა ვაღიაროთ, რომ აღნიშნული პრობლემა არანაკლები სიმწვავეით დგას არა მარტო სტუდენტური, არამედ აკადემიური და კიდევ უფრო ზოგადად - ნებისმიერი შრომითი კოლექტივის წინაშეც (მაგალითად, ონლაინ თათბირი, კონფერენცია არ იძლევა შესაძლებლობას, სრულყოფილად იქნას აღქმული თა-

ნამშრომელთა ემოციები და განწყობილებები. მენტალურად, ოფისში, „საერთო სივრცეში“ მოხვედრილი თანამშრომლები უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან, ვიდრე დისტანციურად მომუშავენი. - გუნდი ხომ არა მარტო საერთო წესდებისა და მიზნების მიხედვით, არამედ არაფორმალური ურთიერთობების (ერთობლივი შესვენება, სადილი, ყავისა თუ ჩაის სმა, სიგარეტის მოწევა...) საფუძველზე ყალიბდება, რაც ასევე ამყარებს კოლექტივის ერთიანობას).

იმისათვის, რომ უმაღლესი სასწავლებლები იყვნენ საკმარისად კონკურენტუნარიანი, არ შეუძმირდეთ ან „შემოეფანტოთ“ სტუდენტური კონტინგენტი, სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მათ ცალსახად მოუწევთ ორიენტაცია სწავლების თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებზე და პერსპექტიულ აკადემიურ მიმართულებებზე.

კრეატიულობა და პანდემიით გამოწვეული ყოფისა და აკადემიური სწავლების შეცვლილი მოთხოვნებისადმი ადეკვატური რეაგირება არსებითი იქნება უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის პროფილისა და ცოდნის გადაცემის ფორმების განსაზღვრაში. კერძოდ, გაიზრდება აკადემიური პერსონალის მიერ ახალი პროფესიების (ონლაინ-კომუნიკაციები, დიზაინერი და ა.შ.) ათვისების აუცილებლობა. აქ, გასათვალისწინებელია, რომ, ერთ ცნობილ რეკლამას რომ დავესესხოთ, ახალგაზრდა თაობა ირჩევს არა მარტო პეპსის, არამედ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, რის გამოც აკადემიური პერსონალის უმრავლესობას (განსაკუთრებით, საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენლებს) დასჭირდებათ სერიოზული ძალისხმევა, რომ სტუდენტთა კონტინგენტს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მიაწოდონ ინფორმაცია - არა მარტო შინაარსობრივად, არამედ გადაცემის ფორმებითაც და ვიზუალურადაც.

ეს ობიექტურად გაზრდის სწავლისა (და კურსების) თანმხლებ პროცესზე დატვირთვას და ამ მიმართულებით აკადემიური პერსონალის მიერ საკმაოდ მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილების აუცილებლობას.

იმის მიუხედავად, თუ როგორი წარმატებული იქნება ამ მიმართულებით უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა და მათი აკადემიური პერსონალის ძალისხმევა, ამ ტიპის დაწესებულებებში ცოდნის გადაცემის სწავლების ტრადიციული ფორმები ვეღარ შეინარჩუნებენ მონოპოლიური მდგომარეობას. - საქმე იმაშია, საგანმანათლებლო პროდუქტები თანდათან კარგავენ და მომავალში კიდევ უფრო მეტად დაკარგავენ საუნივერსიტეტო (სასკოლო) აკადემიურობას, ტრადიციული სახელმძღვანელოების ადგილს (და)იკავებენ ციფრული ინტერაქტიური კომპლექსები. გაჩნდება საგანმანათლებლო სფერო, სადაც გაქრება განსხვავება ძირითად და დამატებით განათლებას შორის. განათლების მიღების პროცესი ერთგვარი ელიტარულობიდან მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს სრული დემოკრატიულობისაკენ, ხოლო ცოდნა, განათლებულობა სულ უფრო მეტად იქნება წარმოდგენილი კომპლექტში კრეატიულობასთან ერთად.

დისტანციური სწავლების ეფექტები

პოზიტიურთან ერთად, სწავლების დისტანციურ ფორმებზე ორიენტაციას აქვს ერთი საგულისხმო თანმდევი ნეგატიური ეფექტი: იგი საფრთხეს უქმნის აკადემიური პერსონალის ურთიერთკომუნიკაციის დონეს და სიხშირეს - ამით კათედრებმა და სოციალურ-პროფესიული კავშირების სხვა კვანძებმა შეიძლება თავიანთი მნიშვნელობის სერიოზული დევალვაცია განიცადონ. შესაბამისად, ეს ზრდის პედაგოგთა, აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტ-

ბიდან, როგორც სამუშაოს მიმცემთან, დამქირავებელთან, გაუცხოების დონეს.

გაუცხოების პრობლემა თავს იჩენს სტუდენტურ წრეებშიც. - ბოლონის მეთოდზე გადასვლის გამო, სწავლების ტრადიციული ჯგუფური ფორმის (სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე სასწავლო ჯგუფი - სტაბილურად უცვლელი ერთი და იგივე წევრებით) ნაცვლად ადგილი აქვს სტუდენტთა თემატურ ერთიანობას, სადაც ისინი ერთიანდებიან კონკრეტული საგნის სწავლის (ლექციის, სემინარის) ფორმატში. სწავლების მთლიანად დისტანციურ ფორმაზე გადასვლა კი გაზრდის მათ დესოციალიზაციას, კიდევ უფრო მეტად დაუთმობს, „გადაუმისამართებს“ მათ ვირტუალური ურთიერთობის რეჟიმს. ამიტომ, სტუდენტების აუდიტორული ურთიერთობები, მით უფრო, კამპუსებში ცხოვრება - ეს არა მარტო მათი სწავლების ფორმაა, არამედ მათი სოციალიზაციის, აღზრდის, შეჯიბრებითობის, ცხოვრების ერთიანი სტილისა და ერთიანი ფასეულობების ჩამოყალიბების მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯიცაა. შესაბამისად, ურთიერთობების ონლაინ ფორმატის „ზეობის“ პირობებში ფაქტობრივად ღიად რჩება არც თუ მთლად რიტორიკული კითხვა: *სად და როგორ ეზიარებიან სოციალიზაციის განსაზღვრულ დონეს სტუდენტები?* ამაზე დადებით პასუხს იძლევა ახლახანს გახსნილი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თუმცა უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა ასეთი შესაძლებლობებით ნამდვილად არ გამოირჩევა.

სოციალიზაციის პრობლემა, ოღონდ რამდენადმე სხვა რაკურსით, დგას არასასწავლო, მაგრამ სამეცნიერო საქმიანობით დაკავებული პირების წინაშეც. კერძოდ, როგორ მოხდება დისტანციურად იმ სამეცნიერო ჯგუფების ჩამოყა-

ლიბება, რომლებსაც (გა)აერთიანებს ერთიანი იდეები და მიზნები? - იდეების გაცვლაში, გენერირებაში, ისევე როგორც ბიზნესის (განსაკუთრებით თვალსაჩინოდ - საბანკო სფეროში) ხომ ცოცხალი ურთიერთობები გაცილებით შედეგიანია, ვიდრე ურთიერთობის ვირტუალური ფორმატი, რომელიც ფაქტობრივად, მხოლოდ პირად, ცოცხალ, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების სუბსტიტუტია - ცივი მონიტორისა და კლავიატურის გამოყენებით... ამასთან, კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კოლოკვიუმების ონლაინ-რეჟიმში გადაყვანა სრულად ვერ ჩაანაცვლებს მეცნიერთა ცოცხალი ურთიერთობებით მიღებული შთაბეჭდილებებისა და ინფორმაციის გაცვლის ეფექტიანობას ახალი იდეების გენერირებასა და ერთობლივი სამეცნიერო პროექტების რეალიზაციაში.

ამასთან, სწავლების არჩეული ფორმატის (ონლაინ ფორმატი vs. ოფლაინ ფორმატი) საბოლოო ეფექტიანობა უშუალო კავშირშია თავად სწავლების პროცესის ეფექტიანობასთან. ამ უკანასკნელს კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შესატყვისობა შრომის ბაზრის მოთხოვნილებებთან. საჭირო იქნება მეტი ყურადღების დათმობა შრომის ბაზარზე არსებითი ცვლილებებისადმი, შესაბამის საბაზრო კონიუნქტურაზე ადაპტირებულ სპეციალისტებზე მოთხოვნის გათვალისწინება და მათზე ადეკვატური რეაგირება. ეს საკმაოდ რთულია დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც პანდემია არა თუ არ დასრულებულა, არამედ მის მასშტაბებს პიკისთვის ჯერ არც კი მიუღწევია. შესაბამისად, პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია არა თუ იმაზე, როგორი იქნება მოთხოვნა შრომით ბაზარზე 4-5 წლის შემდეგ პროფესიების, სპეციალობების, რეგიონებისა და ა.შ. მიხედვით, არამედ იმაზეც კი, თუ როგორ კონფიგურაციას მიიღებს ეკონომიკა ქვეყნისა თუ გლო-

ბალური მასშტაბით სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ. (Бродников, 2020)

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ შრომის ბაზარზე მოთხოვნის შემცირება მაღალ კორელაციაშია სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირებასთან და ეს უკანასკნელი - აკადემიური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებასთან (თუმცა, გაცილებით დაბალი კორელაციით).

აღნიშნულ ვითარებაში არსებითად იზრდება პოტენციური დამქირავებლების უმაღლეს სასწავლებლებთან კონტაქტის ეპიზოდურის ნაცვლად სისტემური ხასიათის მიცემა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ სპეციალობების მიხედვით, რომლებსაც პანდემია ყველაზე მეტად შეეხო (მაგალითად, სტუმარ-მასპინძლობის და ტურიზმის ინდუსტრია). ამასთან, სასურველია, რომ პრაქტიკას ადგილი ჰქონდეს არა სასწავლო პროცესის მიწურულს, არამედ სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე (2-3-ჯერ მაინც), რომლის დროსაც სტუდენტები გაეცნობიან საქმიანობის სხვადასხვა დონეზე (რიგითი შემსრულებლის, ადმინისტრატორის და ა.შ.) ფუნქციებს, ამოცანებს და პასუხისმგებლობას, სხვა თანამშრომლებთან სუბორდინაციისა და კოორდინაციის საკითხებს. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

არაერთი სპეციალობაა, რომელზეც მოთხოვნა არ მცირდება თვით პანდემიის პირობებში. - ესაა სპეციალობები, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკის გაციფრებას. ასეთი სპეციალობების მიხედვით სპეციალისტების მომზადება ხელს შეუწყობს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად აღნიშნული სპეციალობების წარმომადგენლებისათვის

უზრუნველყოფს დასაქმების და შემოსავლების სტაბილურ დონეს.

პანდემიის გამო გლობალური მოთხოვნისა და მიწოდების შემცირებამ მნიშვნელოვანის ცვლილებები გამოიწვია დასაქმების ფორმატის მხრივაც. ეს აისახა როგორც დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებაში, ისე თავად დასაქმების ოფლაინ და ონლაინ ფორმებს შორის თანაფარდობაში.

კორონავირუსის პანდემია უშუალო ასახვას ჰპოვებს დასაქმების მასშტაბებსა და ფორმატზე, ამცირებს რა დასაქმებულთა საერთო კონტინგენტს, არსებითად ცვლის შრომის ბაზრის კონიუნქტურას და სამსახურშენარჩუნებულ თანამშრომელთა საგრძნობ ნაწილს ონლაინ ფორმატში „გადაისვრის“.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2019 წლის ბოლოს გლობალურად, სამუშაო ძალის რაოდენობამ 3489 მლნ. კაცი შეადგინა, უმუშევრობის დონემ - 4.936%, უმუშევართა რაოდენობამ კი - 172.2 მლნ. კაცი (Labor force, total; Unemployment, total. 2020). გამოდის, რომ უმუშევრობის დონე მსოფლიოში პანდემიის გამო 2020 წელს წინა წელთან შედარებით დაახლოებით 1.8-ჯერ გაიზარდა და 13.7%-ს მიაღწევს. საქართველოში, მაგალითად, ის, რომ პანდემიამ გამოიწვია უმუშევრობის ზრდა, არაა საკმარისი პროცესის სრულფასოვნად წარმოჩენისათვის. საქმე იმაშია, რომ სამუშაო ადგილების შემცირების პარალელურად მასობრივი ხასიათი მიიღო არასრული სამუშაო დროის რეჟიმის გავრცელებამ - როდესაც ფორმალურად არ უქმდება სამუშაო ადგილი, მაგრამ იქ დასაქმებული პირის სამუშაო დროის ხანგრძლივობა მცირდება ან სამუშაო დროის ხანგრძლივობის უცვლელობის პირობებში მცირდება შრომის ანაზღაურება. ოფიციალური სტატისტიკით,

უმუშევრობის დონე 2020 წლის მესამე კვარტალში 11.9%-ია, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მხოლოდ 0.8 პუნქტითაა გაზრდილი.

უმუშევრობის 0.8%-ანი დონე - ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა და დასაქმების მაჩვენებლის საერთო შემცირების პირობებში, დაახლოებით 50 ათას უმუშევარს ნიშნავს. მაგრამ აღნიშნულ რიცხვზე დაახლოებით 5-6-ჯერ მეტია იმათი რაოდენობა, რომლებსაც ფორმალურად არ დაუკარგავთ სამუშაო, მაგრამ შეუმცირდათ სამუშაოს ხანგრძლივობაც და შრომის ანაზღაურებაც, ეს კი არანაკლებ 250-300 ათასი კაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეალურად დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, სამუშაო დროზე გადაანგარიშებით, საქართველოში არანაკლებ 2.0-2.5%-ია („რეზონანსი“, 12.11.2020) აღნიშნული მონაცემი, საქართველოს მშპ-ის ფაქტობრივი დინამიკის გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება ოუკენის კანონის მიხედვით დადგენილ დამოკიდებულებას უმუშევრობის დონესა და მშპ-ის დინამიკას შორის.

პანდემიამ არსებითად შეცვალა მდგომარეობა შრომით ბაზარზე. ასე მაგალითად, მოსკოვში 2020 წლის დასაწყისში ერთ უმუშევარზე 4.4 ვაკანსია მოდიოდა, ივნისის შუა რიცხვებში კი ერთ ვაკანსიაზე - 4 უმუშევარი («Независимая газета», 29.06.2020). კიდევ უფრო მძიმე იყო მდგომარეობა მთლიანად ამ ქვეყნის მასშტაბით, სადაც ყოველ ვაკანსიაზე მითითებული თანამდებობის დაკავების 7 მსურველი მოდიოდა („Российская газета“, 4.04.2020).

უახლოეს პერიოდში შრომის დისტანცირების ფორმები, რომლის პიონერები კორონავირუსის პანდემიის პერიოდში ისედაც უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები აღმოჩნდნენ, კიდევ უფრო განვითარდება, გაჩ-

ნდება დისტანციურად მომუშავე თანამშრომლების შრომის ინტენსიფიკაციის ახალი, დახვეწილი ფორმები. აქაც, ისევე როგორც ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, ფაქტობრივად (წა)იშლება ზღვარი სამუშაო და არასამუშაო დროის ტრადიციულ დაყოფას შორის.

მაგრამ ონლაინ ურთიერთობებს აქვთ გამოყენების ეფექტიანობის ზღვრული დონე. - მაგალითად, საკმაოდ პრობლემურია სრულფასოვანი სამუშაო ადგილის შექმნა სახლში - ყველას არა აქვს შესაძლებლობა, გამოყოს ონლაინ მუშაობისთვის ცალკე კაბინეტი, სამუშაო მაგიდა, რაც ამ ფორმით დასაქმებულისთვის ქმნის გარკვეულ ფსიქოლოგიურ და, არც თუ იშვიათად, ფიზიკურ დისკომფორტს. თანაც, იაფ ონლაინ საქმიანობას თავისი უარყოფითი თანმდევი ეფექტიც აქვს. - იგი იწვევს კოლექტივის ატომიზაციას, ერთიანობის კოროზიას. მაგრამ იქ, სადაც საქმიანობის ოფისური ფორმა საქმიანობის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, განსაკუთრებით ფასეული გახდებიან ის თანამშრომლები, რომელთა საქმიანობა დაუკავშირდება მართვის, კოორდინაციისა და ახალი იდეების გენერირების საკითხებს.

აღნიშნულ პრობლემებს ვერ ასცდა სამეცნიერო საქმიანობაც, რომლის პრობლემატიკა, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას და მხარდაჭერას.

სახელმწიფოს მიერ მეცნიერების დაფინანსების გარეშე, პირველ რიგში, ფუნდამენტური (და რა თქმა უნდა, გამოყენებითი) მეცნიერების ფინანსური ინექციების გარეშე, სამეცნიერო საქმიანობა ვერ შეინარჩუნებს ეკონომიკურად მიმზიდველ, სოციალურად პრესტიჟულ ფორმას, რაც ნებისმიერ ქვეყანას ქრონიკული ჩამორჩენისათვის გაწირავს.

ამიტომაც საჭირო იქნება ხარჯების გაზრდა შესაბამისი მიმართულებებით. საქართველოში მეცნიერებაზე ხარჯების წილი მშპ-ის ერთ პროცენტზე საგრძნობლად ნაკლებია, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში 3-4%-ის ფარგლებშია. შედეგად, წმინდა სამეცნიერო საქმიანობა საქართველოში უკვე დიდი ხანია პრესტიჟულად აღარ ითვლება. აკადემიურ-კვლევით სექტორში დასაქმებულ პირთა საშუალო ასაკი საქართველოში, ჩვენი გაანგარიშებით, დაახლოებით 54 წელია, რაც 17 წლით აღემატება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მედიანურ ასაკს. (საქსტატი, 2020) და კიდევ ერთი საკითხი, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოჩინდა პანდემიის პერიოდში.

მართალია, არ არსებობს ხისტი კორელაცია განათლებაში ჩადებულ ხარჯების ზრდასა და განათლების დონის ზრდას შორის, მთლიანობაში მათ შორის დადებითი კორელაცია ცალსახაა. თვით საქართველოში რამდენიმე ათეული უმაღლესი სასწავლებლის არსებობაც კი, რომელიც საზოგადოების ერთ ნაწილში ირონიით აღიქმება, სწორედ ჩვენი საზოგადოების, მისი რიგითი წევრების განათლებისაკენ იმანენტური სწრაფვის მკაფიო გამოხატულებაა. ამიტომ ქართული საზოგადოება სრულებითაც არ არის ინდეფერენტული პანდემიის პირობებში სწავლების მდგომარეობის, ფორმატისა და შედეგების მიმართ.

ამ ფონზე განსაკუთრებით საგულისხმოა OECD-ის განათლების დირექტორატის ხელმძღვანელის ანდრეას შლაიხერის მიერ საქართველოს ლიდერ ქვეყანად მოხსენიება დისტანციური სწავლების წარმატებით დანერგვის თვალსაზრისით. (არჩვამე, 2020) ეს უბრალოდ შექება კი არაა, არამედ მორალური გამარჯვებაცაა. თანაც ისეთ ქვეყანასთან „ტანდემში“, რო-

გორიც მსოფლიოში ადამიანისეული განვითარების ინდექსით 12-ე ადგილზე მყოფი ფინეთია (საქართველო - 70-ე). (Human Development Report, 2019)

პანდემიისას სახელმწიფო სატელევიზიო არხის მეშვეობით ჩატარებული კვალიფიციური ლოგიკური და თვალსაჩინოებით გაჯერებული დისტანციური გაკვეთილები ხელმისაწვდომი და გასაგებია ყოველი მოსწავლისათვის. ბევრი მშობელი (და არა მარტო ისინი), „ცალი თვალითა და ყურით“, თავადაც ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ტელევიზიით ჩატარებულ გაკვეთილებს. შეიძლება ითქვას, რომ პანდემიამ მკაფიოდ წარმოაჩინა საქართველოს საგანმანათლებლო და ინტელექტუალური მზაობის მაღალი, მოწინავე ქვეყნების შესატყვისი, ადეკვატური დონე და ამის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს მზარდი და ეფექტიანი მხარდაჭერა.

დასკვნა

კორონავირუსის პანდემიამ, იმის გარდა, რომ მძლავრი სტიმული მისცა ტექნოლოგიების განვითარებას კომუნიკაციების სფეროში, თვისობრივად ახალ ასპექტში დააყენა სწავლა-განათლების, კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. სწავლებისა და საქმიანობის დისტანციური ფორმების ფართოდ გავრცელებამ, დისტანციურ სწავლებაზე ფორსირებულმა გადასვლამ წარმოაჩინეს ურთიერთობის ამგვარი ფორმატის დადებითი და უარყოფითი, ძლიერი და სუსტი მხარეები, გავლილი დრო პანდემიის დაწყებიდან და პროცესის მიმდინარეობის ანალიზი იძლევა საკმარის საფუძველს ონ-ლაინ ფორმატის უპირატესობების ფართოდ, საყოველთაოდ დასანერგად და მისი სუსტი ან მიუღებელი ასპექტების მინიმინიზაცი-

ისათვის.

პანდემიით განპირობებულმა ონლაინ, დისტანციურ სწავლებაზე ფორსირებულმა გადასვლამ წარმოაჩინა აღნიშნული პროცესის შეუქცევადი და მზარდი ხასიათი. - თუ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით განვიხილავთ პრობლემას და სასწორის ერთ პინაზე დავდებთ პოზიტიურ შედეგს, ის აშკარად გადასწონის ნეგატიურს, რომელიც ცალსახად მიღწევად რეჟიმში იმყოფება.

შედარებით უფრო რთულად დგას საკითხი სტუდენტურ კონტინგენტთან მიმართებაში. - ახალგაზრდებს, როგორც წესი, სწორედ სტუდენტების წლებში უწევთ გამოსვლა ცხოვრებისეულ გზაზე, უმაღლეს სასწავლებლებში „ცოცხალი“ ურთიერთობები უნდა დაეხმაროს მათ სოციალიზაციის, სამოქალაქო თვითშეგნებისა და ემპათიის გამომუშავებაში, რის უზრუნველყოფა და სრულფასოვანი ჩანაცვლება სწავლების ონლაინ რეჟიმს ობიექტურად არ ძალუძს.

ამიტომ, მოსაძებნია უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის, როგორც „საკუთარი კლასტერის“ წარმომადგენლებთან, ისე ერთმანეთთან ურთიერთობის სიხშირის რაღაც „ოქროს შუალედი“, რომლითაც ცოცხალი ურთიერთობები აღარ იქნება ისეთი ინტენსიური და ყოველდღიური, როგორც მანამდე და შემოიფარგლება გაცილებით ნაკლები ინტენსივობით. დანარჩენი დრო მთლიანად გადავა მათი თვითორგანიზებისა და თვითრეალიზაციისათვის განკუთვნილ „დროის ყულაბაში“.

რამდენად შეძლებენ უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური სფეროს წარმომადგენლები ონლაინ სწავლების სფეროში გადასული სტუდენტების არა მარტო სწავლის, ცოდნის, განათლების მიღების პროცესში „აყოლიებას“,

არამედ მათი სოციალიზაციისა და ემპათიის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ამაზე დიდწილად იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღე და სამოქალაქო საზოგადოების სიმწიფე.

კორონავირუსის პანდემიის საბოლოო დამარცხება ზემოხსენებული პრობლემების დიდ ნაწილს ან მოხსნის, ან საგრძნობლად შეამსუბუქებს, თუმცა ონლაინ ფორმატთან ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების, სწავლების, შრომისა და ურთიერთობების ადაპტაციის აუცილებლობა მთლიანობაში კვლავაც შეინარჩუნებს მაღალ აქტუალობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე, ი. (2020) კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური ცვლილებები. - თბილისი, „მწიგნობარი“.

2. არჩვაძე, ი. (2020) ჩვენი ქვეყნის სამაგალითოდ მოხსენიება, მსოფლიო უმნიშვნელოვანესი სტრუქტურის განათლების დირექტორატის ხელმძღვანელის მიერ შექმნის გარდამორალური გამარჯვებაცაა. 7.05.2020. -URL:www.kvira.ge (ხელმისაწვდომია 21.11.2020)

3. ათასობით ადამიანმა სამსახური დაკარგა, უფრო მეტს ხელფასი გაუნახევრდა. გაზ. „რეზონანსი“, 12.11.2020.

4. სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერული კვლევებისა და დამუშავებების გამოკვლევა, 2019 წელი. (2020) საქსტატი. -URL: <https://www.geostat.ge/ka/single-news/1958/sametsniero-datsesebulebebshi-metsnierulikvlevisa-da-damushavebebis-gamokvleva-2019-tseli> (ხელმისაწვდომია 21.11.2020)

5. World Bank (2020). Labor force, total. - URL: <https://data.worldbank.org/indicator/SL.TLF.TOTL.IN> (ხელმისაწვდომია 21.11.2020);

6. World Bank (2020) Unemployment, total. -URL: <https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS> (ხელმისაწვდომია 21.11.2020)

7. Human Development Report (2019). -URL: <http://hdr.undp.org/en/content/2019-human-development-index-ranking> (ხელმისაწვდომია 21.11.2020)

8. Работу в офисах оставят для элиты, для большинства – онлайн. - «Независимая газета», 29.06.2020.

9. Названы профессии, по которым выросло число вакансии. – Российская газета, 4.04.2020.

10. Бродников, М. (2020) Офисы после пандемии: куда вернуться из карантина белые воротнички. – URL:www.rbk.ru.

Joseph Archvadze

Doctor of Economics, Professor. Kutaisi
University, Georgia

ioseb.archvadze@unik.edu.ge

**TRANSFORMATION OF THE FORMAT OF
STUDY AND WORK IN THE CONTEXT
OF THE CORONAVIRUS PANDEMIC**

SUMMARY

Despite the fact that the coronavirus pandemic caused an economic crisis and a significant reduction in demand and supply, it gave a strong impetus to the development and massive use of information technology, in the beginning of a new long wave of the economic cycle. The pandemic is not a challenge only to the world community, but it also tests it - to what extent it is able to quickly and efficiently digitize the economy, transfer production to a new technological level, and ultimately, implement the fourth technological revolution.

The Internet, telecommunications already have the opportunity to improve their qualifications in their own or promising specialties of interested persons through appropriate online courses. In countries with developed market economies and before the pandemic, the number of students in such courses was almost equal to the number of university students, and in the coming years, in all likelihood, it will significantly exceed it. This fully fits into the life-long learning trend caused by rapid technological changes, which nullifies the “eternal status” of the acquired profession.

In less than a year since the beginning of the global coronavirus pandemic, there have been significant changes in the organization of forms of study and teaching in universities. The latter have to seriously revise their teaching methods in the “rapid chess” mode and abandon outdated forms of

teaching.

COVID-19 has paved the way for distance learning and work, online lessons, lectures, video conferences. However, the distance, online form of training and work has not only advantages, but also disadvantages, the ultimate level of efficiency. At the same time, at present, not all students, students and even educational institutions have the technical and material capabilities to provide online learning.

Knowledge is a multifunctional tool with the help of which a person copes with certain tasks. Taking this into account, the university should equip young people with such knowledge that will have not only informational load, but also great applied value.

In the context of the pandemic, universities are faced with serious challenges, most of them are like a downward spiral orbit: on the one hand, online teaching saves money on the maintenance and operation of classrooms, but on the other hand, this means reducing the costs of students (their parents, sponsors, etc. etc.), the appropriate adjustment of their mobility plans, which makes the administration and the state the need to pursue a new, changed educational and economic policy.

In the context of a pandemic, the implementation of these tasks faces a serious danger: traditional forms of study and knowledge transfer are disrupted and the market requirements become not entirely clear due to its significant narrowing. The question of the need to reduce the dependence of the cost of studying at universities on the contributions of the students themselves (their parents, sponsors, etc.) is becoming increasingly acute. Such expenses in state universities should be completely borne by the state, which will practically reduce to zero the motivation of the universities to maintain undisciplined

students within the walls of the university and will significantly increase the demand towards them (and, accordingly, the quality of education).

Which place can online learning take in a pandemic period? In general (without taking into account the mention in the context of the pandemic), the advantage of online education is unambiguous for those specialties, the perspective of which presupposes predominantly the same format. However, it should be remembered that the online format is a specific, actually surrogate form of social relations and professional and personal self-confidence and communication skills are practically not based on it. So, instead of a tug of war between online and offline forms, it is necessary to find the optimal balance between the forms of their complementarity and not interchangeability.

Online courses for stakeholders are no less mobilizing. Listening to a lecture in this format is possible at a convenient time (at home, while traveling, while waiting for a bus or waiting in line for purchases, etc.). These courses are a subjective choice of everyone and are not a forced form for gaining some number of so-called credits. Due to high motivation, the degree of development is more stable and higher. Over time, the knowledge gained through such courses will become more valuable in the selection of an employee for a vacant position.

Distance learning, in spite of the fact that it has a number of advantages (convenient, economical - it saves costs on transport, time, egalitarian, etc.) is still a substitute - it only partially replaces, but does not replace fully relations between the lecturer and student (as well as between academic staff). It does not replace such aspects of full-fledged student life as the living relations of students, their joint participation in public events. In the online format, it is possible to transfer knowledge, but not the

nuances of culture, behavior, creativity, national and regional sensitivity, humor, etc. Online learning and relationships is, figuratively speaking, a movie shot on a flat screen, while classroom learning is a movie in 3D.

The focus on distance learning has one very significant side effect: it creates a danger to the level and frequency of mutual communication of academic staff. Because of this, departments and social and professional unions can undergo a serious deformation of their significance. Accordingly, this will increase the degree of alienation of the academic staff from the universities that provided them with jobs.

The problem of socialization, from a slightly different perspective, is also faced by persons engaged exclusively in scientific work - how will scientific links, "chained" by common ideas and goals, be formed?

The final effectiveness of the chosen training format (online vs. offline format) is determined by the effectiveness of the training process. The latter is largely determined by compliance with the requirements of the labor market. In turn, this compliance is largely predetermined by the systemic (instead of episodic) contact of potential employers with universities.

The coronavirus pandemic is directly reflected in the scale and format of employment - it reduces the overall contingent and significantly changes the employment situation, "throws" a significant part of the employees who have retained their jobs online. Remote forms of work, which were already pioneered by higher and general education schools, will develop even more, new, more sophisticated forms of intensification of work of employees employed at remote locations will appear. Here, as in other spheres of economic and

social life, the boundaries between the traditional division of working and non-working (free) time will actually be erased.

However, online work has refrained level of efficiency. For example, it is very problematic to create a workplace at home - not everyone has the opportunity to organize a separate office, a desk for such work, which creates psychological and, often, physical discomfort. The fact is that online work has a concomitant negative effect. It causes the atomization of the collective, the corrosion of its unity.

To the extent that representatives of higher education and the academic sphere can lead the students who have switched online, not only in their studies, but also in the development of skills and feelings of socialization and empathy in them, the future and the maturity of civil society will largely depend on this.

It is necessary to find a kind of “golden mean” of relations both between students and academic staff, and with representatives of “their own cluster”, in which direct live relationships may not be as intense and daily as before. The rest of the time will be completely transferred to their self-organizing and self-fulfilling “box of time”.

The final victory over the pandemic will eliminate or significantly alleviate most of the above problems, however, the need to adapt everyday life, study, work to the online format of relationships will remain highly relevant.

KEY WORDS: Coronavirus pandemic, distance learning, online relationships, academic staff, alienation.

J.E.L. classification: A29, E32, F68

References:

1. Archvadze, J. (2020) Coronavirus Pandemic-Related Global Changes in the World. - Tbilisi (in Georgian).
2. Archvadze, J. (2020) Mentioning our country as an example, apart from praise from the head of the education directorate of an important world institution, is also a moral victory. . -URL:www.kvira.ge 7.05.2020 (available 21.11.2020) (in Georgian).
3. Thousands of people have lost their jobs, much more than those whose salaries were cut. Resonance newspaper. 12.11.2020. (in Georgian).
4. Survey of the state of scientific research and development in scientific organizations of Georgia. (2020) – URL: <https://www.geostat.ge/ka/single-news/1958/sametsniero-datseebulebebshimetsnieriuli-kvlebebisa-da-damushavebebis-gamokvleva-2019-tseli> (available 21.11.2020)
5. World Bank (2020). Labor force, total. - URL: <https://data.worldbank.org/indicator/SL.TLF.TOTL.IN> (available 21.11.2020);
6. World Bank (2020) Unemployment, total. -URL: <https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS> (available 21.11.2020)
7. Human Development Report (2019). -URL: <http://hdr.undp.org/en/content/2019-human-development-index-ranking> (available 21.11.2020)
8. Работу в офисах оставляют для элиты, для большинства – онлайн. - «Независимая газета», 29.06.2020.
9. Названы профессии, по которым выросло число вакансии. – Российская газета, 4.04.2020.
10. Бродников, М. (2020) Офисы после пандемии: куда вернуться из карантина белые воротнички. – URL:www.rbk.ru (available 6.11.2020).

საქართველოს მაკროეკონომიკური გამოწვევები მსოფლიო პანდემიის ფონზე

ბორის ჭიჭინაძე

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, საქართველო
borkach@mail.ru

საკვანძო სიტყვები: მთლიანი შიდა პროდუქტი, ექსპორტის და იმპორტის სტრუქტურა, საბადასახადლო ბალანსი, ფისკალური პოლიტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

J.E.L . clasification: E0, E6, K2.

ანოტაცია

სტატიაში განხილულია კორონავირუსის გავრცელებამდე საქართველოს საერთო მაკროეკონომიკური მდგომარეობა. მსოფლიოს პანდემიის პირობებში, აღნიშნულია იმ რისკების შესახებ, რის წინაშეც ამჟამად დგას საქართველოს ეკონომიკა. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება იმ ნეგატიური ეკონომიკური მოვლენების შესახებ, როგორცაა: უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი ხარისხი და ლარის გაცვლითი კურსის პრობლემები. წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მისამართით შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

შესავალი

კორონავირუსის შედეგად გამოწვეული რთული ეკონომიკური მდგომარეობის შესამსუბუქებლად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობებმა და ცენტრალურმა ბანკებმა კოლოსალური თანხები გამოყო. შექმნილ მდგომარეობას ართულებს ის, რომ ჯერ კიდევ უცნობია იქნება თუ არა ვირუსის აფეთქების მეორე ტალღა. მსოფლიოში ამ კუთხით შექმნილია არაორდინალური და რთულად პროგნოზირებადი მდგომარეობა. საერთაშორისო

ორგანიზაციები, ისეთები როგორცაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვები, პროგნოზს ვერ აკეთებენ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ვერ სთავაზობენ შესაბამის რეკომენდაციებს ქვეყნებს, მაშინ როცა ასეთი რეკომენდაციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის. პერსპექტივას ბუნდოვანს ხდის, ის რომ ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატებიც არ აკეთებენ პროგნოზს შექმნილ არაორდინალურ მდგომარეობაზე და არ სთავაზობენ შესაბამის სამოქმედო გეგმებს მსოფლიო ქვეყნების მთავრობებს. გამომდინარე აქედან ჯერ კიდევ უცნობია უახლოეს მომავალში თუ რა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან ქვეყნები აღნიშნული პანდემიის ფონზე. საჭიროა საქართველოს მთავრობამ მსოფლიოში შექმნილი რთული და არაპროგნოზირებადი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ადგილობრივ სამეცნიერო და ინტელექტუალურ რესურსებზე (მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, უმაღლესი სას-

წავლებლები, ეროვნული კვლევითი დაწესებულებები და სხვა) დაყრდნობით მოამზადოს ქვეყნის განვითარების როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი სტრატეგიები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ეროვნული მეწარმეობის განვითარებაზე და იმპორტჩანაცვლებითი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას შეუწყობს ხელს. ამით საქართველომ მაქსიმალურად უნდა აიცილოს მოსალოდნელი რისკები.

ძირითადი ტექსტი

საინტერესოა, თუ რა მდგომარეობაში შეხვდა საქართველო მსოფლიოში შექმნილ არაორდინალურ ეკონომიკურ მდგომარეობას და რა რისკების და გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა. მდგომარეობის შეფასების და წარმოდგენის მიზნით მოვიყვანთ და განვიხილავთ რამდენიმე ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრს.

წარმოდგენილი მონაცემებიდან (იხ. ცხრილი 1) ჩანს, რომ 2015 წლისათვის მთლიანი ექსპორტის ოდენობამ 2.2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტმა კი-7.3 მილიარდი ამერიკული დოლარი. უარყოფითი სავაჭრო ბალანსის ოდენობამ 5.1 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა. 2015 წლისათვის საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან უარყოფითი სავაჭრო სალდო გააჩნდა. უარყოფითი სავაჭრო ბალანსის ეს ოდენობა საქართველოა მნიშვნელოვან უარყოფით ეკონომიკურ მოვლენებს იწვევს და ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას საფრთხეებს უქმნის. სავაჭრო ბალანსის მხრივ 1995 წლიდან დაწყებული უარყოფითი ტენდენცია შენარჩუნდა მომდევნო წლებშიც. განვიხილოთ 2019 წლის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები.

ცხრილი 1

საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2015 წლისათვის

ქვეყნები	ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)	წილი მთლიან ექსპორტში (%)	იმპორტი (ათასი აშშ დოლარი)	ხვ. წილი მთლიან იმპორტში (%)	სალდო +/-
აშშ	104,228.3	4.7	254,089.2	3.5	-149,806.9
რუსეთი	162,885.6	7.4	625,714.4	8.6	-462,828.8
იაპონია	3,304.0	0.1	212,212.3	2.9	-208,908.1
ჩინეთი	125,803.2	5.7	587,298.9	8.0	-461,495.7
დანარჩენი აზია	907,538.2	41.2	2,784,301.8	38.1	-1,876,763.6
ევროკავშირის ქვეყნები	644,729.9	29.3	2,082,429.4	28.5	-1,437,699.5
დანარჩენი ქვეყნები	255,699.2	11.6	758,362.2	10.4	-502.662.9
სულ:	2,204,188.6	100	7,304,165.1	100	-5,099.976.5

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

ცხრილი 2

საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა
ქვეყნების მიხედვით 2019 წლისათვის

ქვეყნები	ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი)	წილი მთლიან ექსპორტში (%)	იმპორტი (ათასი აშშ დოლარი)	წილი მთლიან იმპორტში (%)	საღდო +/-
აშშ	132,251.4	3.5	678,728.4	7.1	-546,477.0
რუსეთი	496,974.1	13.1	977,025.7	10.3	-480,051.6
იაპონია	12,291.9	0.3	257,299.4	2.7	-245,007.5
ჩინეთი	223,129.7	5.9	858,587.7	9.0	-635,460.0
დანარჩენი აზია	1,677,309.1	44.2	3,287,347.4	34.5	-1,610,038.3
ევროკავშირის ქვეყნები	819,242.4	21.5	2,407,237.3	25.3	-1,587,995.0
დანარჩენი ქვეყნები	437,250.9	11.5	1,050,683.3	11.1	-613,432.4
სულ:	3,798,449.5	100	9,516,911.3	100	-5,718,461.8

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

წარმოდგენილი მონაცემებიდან (იხ.ცხრილი 2) ჩანს, რომ 2019 წლისათვის მთლიანი ექსპორტის ოდენობამ 3.8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტმა - 9.5 მილიარდი ამერიკული დოლარი ხოლო უარყოფითი სავაჭრო ბალანსის ოდენობამ 5.7 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა (სავაჭრო დეფიციტი 2015 წლისათვის 5.1 მილიარდი აშშ დოლარი იყო). საქართველოს, 2019 წელს, ისე როგორც შესადარ 2015 წელს (ასევე 1995 წლიდან), თავის ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან უარყოფითი სავაჭრო საღდო გააჩნდა. აღნიშნული უარყოფითი ტენდენცია სამწუხაროდ 2020 წელსაც შენარჩუნებულია.

როგორც ცნობილია, რაც უფრო ღიაა ქვეყანა და გახსნილია მისი ფინანსური ბაზრები, უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევა ქვეყანას

გადადგას შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები ქვეყნის სავაჭრო დეფიციტის ან პროფიციტის შესაბამისად. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან ის ქვეყნები, რომლებიც უფრო მეტი საქონლის იმპორტს ანხორციელებენ ქვეყანაში ექსპორტთან შედარებით, ანუ როდესაც ქვეყანას უარყოფითი წმინდა ექსპორტი აქვს. ასეთ პირობებში მყოფი ქვეყნები იძულებულნი არიან მოიზიდონ უცხოელი ინვესტორები ან ისესხონ ფული სხვა ქვეყნებიდან, რათა მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მაკროეკონომიკური მდგომარეობა. მეტად საინტერესო სურათს მივიღებთ თუ განვიხილავთ საქართველოს საგადასახდლო ბალანსს გარკვეული წლების (2015 და 2019 წწ) მიხედვით.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2015 წლისათვის
(მლრდ აშშ დოლარი)

მიმდინარე ანგარიში		
ექსპორტი	2.2	
იმპორტი	7.3	
სავაჭრო ბალანსი (დეფიციტი -/პროფიციტი+) (1)	-5.1	
ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი	0.27	
ინვესტიციებზე გადახდები	1.1	
ინვესტიციებისგან წმინდა შემოსავალი (2)	-0.83	
წმინდა ტრანსფერტული გზავნილები (3)	-0.0014	
მიმდინარე ანგარიშის სალდო (დეფიციტი -/პროფიციტი+) (1)+(2)+(3)	-5.9314	
კაპიტალის ანგარიში		
უცხოელების მფლობელობაში არსებული საქართველოს აქტივების ზრდა (4)	2.83	
საქართველოს მფლობელობაში არსებული უცხოური აქტივების ზრდა (5)	1.18	
კაპიტალის ანგარიშის სალდო (დეფიციტი -/პროფიციტი+) (4)-(5)	+1.65	
სხვაობა:	დეფიციტი -4.28	

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

წარმოდგენილი მონაცემებიდან (იხ.ცხრ. 3) ჩანს, რომ 2015 წელს სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა 5.1 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წელს საქართველოში ინვესტიციებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 0.27 მლრდ. აშშ დოლარი, ხოლო ინვესტიციებზე გადახდებმა 1.1 მლრდ. დოლარი, სხვაობამ კი -0.83 მილიარდი. ტრანსფერტული გზავნილები საქართველოდან 1.4 მილიონი აშშ დოლარის ფარგლებში დაფიქსირდა. თუ წმინდა გადახდები დანარჩენი მსოფლიოსგან დადებითია, მაშინ ქვეყანას მიმდინარე ანგარიშის პროფიციტი აქვს, ხოლო თუ წმინდა გადახდები დანარჩენ მსოფლიოსთან უარყოფითია, მაშინ ქვეყანას მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი აქვს.

საქართველოს 2015 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 5.93 მლრდ. ამერიკულ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება კაპიტალის ანგარიშს, 2015 წელს უცხოელების მფლობელობაში არსებული აქტივების ზრდამ 2.83 მლრდ. ამერიკული დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოს მფლობელობაში არსებული აქტივების ზრდამ, კი 1.18 მლრდ. დოლარი. პროფიციტი 1.65 მლრდ დოლარით განისაზღვრა. სულ 2015 წელს მიმდინარე ანგარიშის (-5.9 მლრდ. აშშ დოლარი) და კაპიტალის ანგარიშის (+1.65 მლრდ. აშშ დოლარი) გათვალისწინებით დეფიციტმა შეადგინა -4.28 მლრდ. აშშ დოლარი, რაც 2015 წლის მშპ-ის 28.7%-ია.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2019 წლისათვის
(მლრდ აშშ დოლარი)

მიმდინარე ანგარიში		
ექსპორტი	3.8	
იმპორტი	9.5	
სავაჭრო ბალანსი (დეფიციტი -/პროფიციტი+) (1)	-5.7	
ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი	0.4	
ინვესტიციებზე გადახდები	1.9	
ინვესტიციებისგან წმინდა შემოსავალი (2)	-1.5	
წმინდა ტრანსფერტული გზავნილები (3)	-0.00366	
მიმდინარე ანგარიშის სალდო (დეფიციტი -/პროფიციტი+) (1)+(2)+(3)	-7.2	
კაპიტალის ანგარიში		
უცხოელების მფლობელობაში არსებული საქართველოს აქტივების ზრდა (4)	1.9	
საქართველოს მფლობელობაში არსებული უცხოური აქტივების ზრდა (5)	0.77	
კაპიტალის ანგარიშის სალდო (დეფიციტი -/პროფიციტი+) (4)-(5)	+1.13	
სხვაობა:	დეფიციტი	--6.07

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

წარმოდგენილი მონაცემებიდან (იხ.ცხრ.4) ჩანს, რომ 2019 წელს სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა 5.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, ინვესტიციებისგან მიღებულმა შემოსავალმა 0.4 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო ინვესტიციებზე გადახდებმა კი 1.9 მლრდ აშშ დოლარი.

2019 წელს უცხოელების მფლობელობაში არსებული საქართველოს აქტივების ზრდა 1.9 მლრდ ამერიკულ დოლარს, ხოლო საქართველოს მფლობელობაში არსებული უცხოური აქტივების ზრდა 0.77 მლრდ. ამერიკულ დოლარს შეადგენდა, სხვაობამ 1.13 მლრდ. ამერიკული დოლარი შეადგინა. სულ 2019 წელს მიმდინარე ანგარიშის (-7.2 მლრდ. აშშ დოლარი) და კაპიტალის ანგარიშის (+1.13 მლრდ. აშშ დოლარი) გათვალისწინებით დეფიციტმა

შეადგინა -6.07 მლრდ.აშშ დოლარი, რაც 2019 წლის მშპ-ის 34.2 %-ია.

ცნობილია, რომ სავაჭრო დეფიციტი ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუარესებს. ამიტომ ამ შემთხვევაში ქვეყნები დეფიციტის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ. კერძოდ: აწესებენ სავაჭრო ბარიერებს იმპორტირებულ საქონელზე. ზრდიან ქვეყნის შიგნით წარმოებული იმ პროდუქციის ხარისხს და მიმზიდველობას, რომელიც ექსპორტისათვისაა განკუთვნილი, ანუ ქვეყნები ატარებენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეფორმებს ამ მიმართულებით.

უარყოფითი სავაჭრო დეფიციტის პირობებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად მცირდება ცენტრალური ბანკის განკარგულებაში არსე-

ბული უცხოური ვალუტის რეზერვები. ბოლო 25 წლის განმავლობაში სურათი არ იცვლება - ექსპორტის შედეგად მიღებული უცხოური ვალუტა მიემართება იმპორტის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების დასაფინანსებ-

ლად. ასეთი პრაქტიკა მნიშვნელოვნად აუარესებს ქვეყნის საერთო მაკროეკონომიკურ მდგომარეობას, რაც მთლიანობაში ჩვენს ეროვნულ ვალუტაზე (ლარი) უარყოფითად აისახება.

ცხრილი 5

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური რეზერვების და მშპ-ის მონაცემები აშშ დოლარებში

წლები	რეზერვი (მლრდ აშშ დოლარი)	მთლიანი შიდა პროდუქტი (მლრდ აშშ დოლარი)	რეზერვების წილი მშპ-სთან (%)	რეზერვები მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი)
2006 წლის 31 დეკემბრისთვის	0.930	7.7	11.7	211
2010 წლის 31 დეკემბრისთვის	2.3	11.6	19.8	523
2015 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5	14.9	16.7	671
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	3.3	17.6	18.7	885

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

2006 წლიდან, 2019 წლამდე საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვები 930 მლნ აშშ დოლარიდან, 3.3 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა (იხ.ცხრ. 5). რეზერვების წილი ქვეყნის მშპ-სთან მიმართ 2006-2019 წლების პერიოდში 11.7%-დან 18.7%-მდე ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ეროვნული ბანკის რეზერვების ოდენობას, იგი 211 აშშ დოლარიდან (2006 წელი) 885 აშშ დოლარამდე გაიზარდა (2018 წელი). ეროვნული ბანკის რეზერვების შემცირებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. აქედან მნიშვნელოვანია წმინდა ექსპორტის უარყოფითი სალდო და კაპიტალის ანგარიშის დეფიციტი.

როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ეროვნული ბანკის ოფიციალური რეზერვების შემცირებას იწვევს, ჩვენს შემთხვევაში მდგომარეობაზე კიდევ უფრო ნეგა-

ტიურად აისახება საქართველოში დოლარიზაციის მაღალი კოეფიციენტი. ეროვნული ბანკის მონაცემებით აღნიშნული კოეფიციენტი 2013-2019 წლებში 56%-დან, 69%-მდე მერყეობდა, აქედან ყველაზე მაღალი მონაცემი 2016 წელს დაფიქსირდა - 69,83%, ხოლო მინიმალური 2013 წელს - 55.67%. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის და დოლარიზაციის მაღალი კოეფიციენტის გამო, საქართველო საგარეო შოკებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული ქვეყანა ხდება. გლობალური ეკონომიკური კრიზისის და საქართველოში მცურავი სავალუტო კურსის პირობებში, მდგომარეობა კიდევ უფრო არაპროგნოზირებადი შეიძლება გახდეს. კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ნეგატიური გარემო, მსოფლიოს ქვეყნებს მნიშვნელოვანი ეროვნული ეკონომიკური რეფორმების გატარებისკენ უბიძგებს.

ცხრილი 6

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის და მშპ-ის

დინამიკა 1996-2019 წლებში

წლები	მშპ (მლრდ აშშ დოლარი)	ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში	ერთ სულ მოსახლეზე მშპ (ათასი აშშ დოლარი)	ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ოდენობა ლარში
1996	3.0	1\$=1.26 ლ	0.683	860.58
2000	3.1	1\$=1.97 ლ	0.750	1477.50
2003	3.9	1\$=2.1 ლ	1.00	2100
2005	6.4	1\$=1.81 ლ	1.64	2968.40
2010	11.6	1\$=1.78 ლ	3.00	5340
2012	15.8	1\$=1.65 ლ	4.30	7095
2015	13.9	1\$=2.72 ლ	3.75	10200
2017	15.0	1\$=2.5 ლ	4.00	10000
2018	17.6	1\$=2.5 ლ	4.30	10750

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით

როგორც ცხრილიდან სჩანს (იხ.ცხრ. 6), 1996 წელს 1 ამერიკული დოლარი ღირდა 1.26 ლარი, 2000 წლიდან ლარმა დაიწყო გაუფასურება და 1 ამერიკული დოლარი 1.97 ლარი გახდა. 2015 წელს 1 ამერიკული დოლარი 2.72 ლარი, ხოლო 2018 წელს კი-2.50 ლარი გახდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის დაცემა ზემოაღნიშნულ მონაცემებთან (დოლარიზაციის მაღალი დონე, გაუარესებული საგადასახდელო ბალანსი) ერთად სხვა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუარესებით არის გამოწვეული.

დღევანდელი მსოფლიო, ფაქტობრივად, აქამდე არნახულ და უჩვეულო ომშია ჩაბმული - მასში 3-ჯერ მეტი სახელმწიფო მონაწილეობს, ვიდრე მეორე მსოფლიო ომში. მსოფლიო ეკონომიკა დიდწილად კვლავ დაპაუზებულია - შემცირებულია გლობალური მოთხოვნა და გლობალური მიწოდება, ზარალი ათეულ ტრილიონობით დოლარს აღწევს. გაიზარდა უმუშევრობა. უკვე 2020 წლის პირველი კვარტლის ბოლოს მსოფლიოში საჭაერო ტრანსპორტის მგზავრთა რაოდენობა თითქმის რვა-

ჯერ შემცირდა (არჩვამე, 2020).

მდგომარეობა მართლაც არაორდინალურია, გამომდინარე აქედან მიღებული გადაწყვეტილებებიც არაორდინალური უნდა იყოს. მთავრობის მიერ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რათა უახლოეს მომავალში არ შემცირდეს ბიუჯეტის შემოსავლები. ამისათვის კი ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელია ახალი საინვესტიციო პაკეტების შეთავაზება შიგა და გარე ინვესტორებისათვის, საინვესტიციო პროცესების დაჩქარების და ბიუჯეტში საკუთარი შემოსულობების მობილიზების მიზნით (ჩიხლაძე, 2020).

დასკვნა

მსოფლიოში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით. საქართველოს საერთო მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სწრაფად უნდა გატარდეს შესაბამისი რეფორმები. ამ პროცესში ხელისშემწეელი ფაქტორი იქნება თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში არსებული მნიშვნელოვანი

პრობლემები. ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი ქვეყანაში დოლარიზაციის კოეფიციენტის შემცირების მიმართულებით;

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ პოზიტიურ პროგნოზებს აკეთებენ, ეს დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. მსოფლიოში და საქართველოში შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის ყველა დონეზე (ცენტრალური, რეგიონული, მუნიციპალური), სწრაფად უნდა მოხდეს უკვე არსებული და მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმების კორექტირება.

კორონავირუსის გავრცელებამდე არსებული საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე ნათლად იკვეთება სწრაფი, დროში მკაცრად გაწერილი, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების აუცილებლობა. სწორედ გატარებულმა რეფორმებმა უნდა უზრუნველყოს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება და 2021 წლიდან ეკონომიკის მდგრადი განვითარება. საქართველოს გააჩნია საჭირო რესურსი (ინტელექტუალური, ბუნებრივი, სტრატეგიული მდებარეობა) იმისათვის, რომ გაუმკლავდეს მსოფლიო პანდემიით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს და გადადგას ქმედითი ნაბიჯები ეკონომიკის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე, ი. (2020). კორონაპანდემია – გლობალური მოვლენა, რომელიც მასშტაბებით მსოფლიო ომის მასშტაბებს უტოლდება. საერთო გაზეთი №6;
2. ჩიხლაძე, ნ. (2020). ქალაქების ეკონომიკა და პანდემიის გამოწვევები. ქუთაისის უნივერსიტეტი. URL: <https://www.unik.edu.ge/News/1040?fbclid=IwAR3jt9FocF25Z6gS6VheJHWGO-Edpp6-sCvCk0ZtM5uCF6TagSRegH11LFo> (ხელმისაწვდომია: 25.11.2020)
3. საქართველოს ეროვნული ბანკი. URL: www.nbg.gov.ge
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური URL: www.geostat.ge (ხელმისაწვდომია: 25.11.2020)
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო URL: www.economy.ge (ხელმისაწვდომია: 25.11.2020)
6. საქართველოს მთავრობა URL: www.gov.ge (ხელმისაწვდომია: 25.11.2020)

Boris Tchitchinadze

Doctor of Economics, Akaki Tsereteli State
University Lecturer. Georgia

borkach@mail.ru

GEORGIA'S MACROECONOMIC CHALLENGES AGAINST THE BACKGROUND OF THE WORLD PANDEMIC

SUMMARY

The presented paper analyzes the economic situation in Georgia against the background of the world pandemic. The relevant statistical data on the high tax balance and dollarization ratio of Georgia are presented in detail. The article notes that Georgia did not have a good starting economic rate even before the Coronavirus pandemic, which creates a precondition for future problems. The paper focuses on the need for rapid economic reforms.

The paper presents conclusions and recommendations on the measures to be taken by the government in the near future. If the recommendations presented by the central government in the near future do not take into account the pandemic in the country, the socio-economic situation will become even more complicated, which will pose a significant threat to political stability as a whole.

An analysis of the economic situation in Georgia prior to the spread of the coronavirus clearly demonstrates the need for a rapid, time-bound, national economic policy. This reforms should be provide to get healthy the situation, which caused coronavirus pandemic and develop of the economy from 2021. Georgia has all the necessary resources (intellectual, natural, strategic location)

to deal with the negative consequences of the global pandemic and to take effective steps compared to other countries to ensure the stabilization of the economy.

Therefore, in order to improve the overall macroeconomic situation of the country, appropriate reforms should be carried out quickly. When carrying out reforms, it should be taking into account that an important impediment to improving the country's economic situation will be the fact that significant problems have accumulated in the modern global world in the following areas, such as: international rating companies, international financial institutions and international lobbying institutions. Despite the effective steps taken to solve the problem, the situation in this direction is entering in deeper crisis, and overall it is hindering the real improvement of the economic situation of countries (especially developing countries). it is necessary that The Government of Georgia take into account the significant problems existing in the above-mentioned international organizations when pursuing national economic policy. Although various international financial institutions, compared to other countries, make positive forecasts about the economic situation in Georgia, it still does not entitle us to calm down.

It is well known that the governments and central banks of almost every country in the world have allocated colossal sums of money to alleviate the difficult economic situation caused by the coronavirus. Complicating the situation is the fact that it is still unknown whether there will be a second wave of virus outbreaks. In the world is an extraordinary and difficult to predict situation in this regard. International organizations, such as the International Monetary Fund, the World Bank, the European Bank for Reconstruction

and Development, the Asian Bank, the World Trade Organization, etc., can not forecast the current situation and can not offer relevant recommendations to countries, while such recommendations are vital, especially developing countries. The situation is further complicated by the fact that the Nobel Prize winners in the field of economics do not make any predictions about the extraordinary situation and do not offer appropriate action plans to the governments of the countries of the world. Therefore it is still unknown in the near future what socio-economic problems will be in countries the light of this pandemic. Given the complex and unpredictable economic situation in the world, the Government of Georgia needs to prepare a short-term and long-term strategic development plan based on local resources (National Academy of Sciences, higher education institutions, national research institutions, etc.) Will facilitate handling. According to this strategic plan, Georgia should avoid the expected risks as much as possible.

KEYWORDS: Gross Domestic Product, Export and Import Structure, Balance of Payments, Fiscal Policy, Foreign Direct Investment.

J.E.L. classification: E0, E6, K2.

References:

1. Archvadze, J. (2020). Coronapandemia - a global phenomenon equal in scale to World War II. General Newspaper №6;
2. Chikhladze, N. (2020). Urban economics and pandemic challenges. Kutaisi University; URL: <https://www.unik.edu.ge/News/1040?fbclid=IwAR3jt9FocF25Z6gS6VheJHWGO-Edpp6-sCvCk0ZtM5uCF6TagSRegH1ILFo> (available 25.11.2020)

3. National Bank of Georgia. URL: www.nbg.gov.ge (available 25.11.2020)
4. National Statistics Office of Georgia. URL: www.geostat.ge; (available 25.11.2020)
5. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia URL:www.economy.ge; (available 25.11.2020)
6. Georgian Government. URL: www.gov.ge (available 25.11.2020)

პანდემიური და პოსტ-პანდემიური გარემოს ეკოლოგიური მდგრადობა

დარეჯან ჩხიროძე

აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო
darejan.chkhirodze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიური მშვიდობა, მდგრადი განვითარება, COVID19. პანდემია, მწვანე ეკონომიკა

J.E.L. classification: O01, Q57, Q58.

ანოტაცია

თანამედროვე დინამიური ეპოქის ძირითადი მახასიათებელი პროცესების და მოვლენების მოულოდნელი ცვლილებაა. ამათგან უპირველესია პანდემია COVID-19, რამაც მკვეთრი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე: გააჩერა გიგანტი საწარმოები, გამოკეტა მოსახლეობის უმრავლესობა სახლებში. დისტანციური მუშაობა სულ უფრო ეფექტური გახდა. ადამიანები ნაკლებად იყენებენ ტრანსპორტს, რითაც შემცირდა ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ემისია, „დაისვენა გარემომ“, გაცისფეროვდა, უფრო ნათელი და გამჭვირვალე გახდა ცა, გასუფთავდა წყალი, იმატა ჟანგბადმა, რამაც გარკვეული დადებითი გავლენა იქონია ფლორასა და ფაუნაზე.

კორონა ვირუსის კრიზისიდან გამოსვლის პროცესი არის შანსი, მიღწეულ იქნას ორმაგი ეფექტი - ასტიმულიროს ეკონომიკები, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და ამავე დროს დააჩქაროს მწვანე გარდაქმნა – ახალ დიზაინზე აიწყოს და გაცოცხლდეს მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკა და ინდუსტრია, შენარჩუნდეს საციცოცხლოდ აუცილებელი ბიომრავალფეროვნების სისტემები და მოგვარდეს კლიმატური ცვლილების საკითხი (სათბურის აირების 50-55%-ით შემცირება 1990 წელთან შედარე-

ბით 2030-თვის). ევროპის მწვანე შეთანხმების საინვესტიციო გეგმა მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორც არის: მდგრადი მობილურობა, განახლებადი ენერჯეტიკა, შენობათა განახლება, კვლევები და ინოვაციები, ბიომრავალფეროვნების აღდგენა, წრითი (ციკლულარული) ეკონომიკა. „მწვანე შეთანხმება“ არის ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ ევროპის მდგრად და კლიმატნეიტრალურ ეკონომიკის გადასაქცევად სწორი გადაწყვეტილებების გზამკვლევი.

შესავალი

გარემო მოიცავს ბუნებრივ და ხელოვნურ წარმონაქმნებს. ფართო გაგებით, კაცობრიობა და ყველა ბუნებრივი რესურსი, ატმოსფერო (ჰაერი), ჰიდროსფერო (წყალი), ლითოსფერი (ნიადაგი), ფლორა, ფაუნა გარემოში ურთიერთდაკავშირებულია და იმყოფება მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. ამ კავშირების შედეგად განიხილოს შეფასებით კი ირკვევა, რამდენად ეკოლოგიურია გარემო, ანუ ადამიანის სამეურნეო საქმიანობა აღმშენებლობითია თუ დამანგრეველი. დამანგრეველია იმ შემთხვევაში თუკი სახეს უცვლის გარკვეულ ტერიტორიებს, ცვლის ჰავას, კლიმატს, ცნობილი

მოვლენის სათბურის ეფექტის და მისი თანამდებობის კლიმატის ცვლილებით.

ადამიანის არამიზნობრივმა ზემოქმედებამ ღრმად მომაკვდინებელი კვალი დატოვა ფლორა-ფაუნაზე. საკვებ პროდუქტებად ფაუნის გამოყენებამ გამოიწვია სხვადასხვა პანდემიების გაჩენა. ისტორიას ახსოვს პანდემიები, რომელთა უმეტესობა ფაუნაზე ზემოქმედებას უკავშირდება (პანდემია არის ეპიდემია, რომელსაც ახასიათებს ინფექციური დაავადების გავრცელება მასშტაბურ რეგიონში, რეგიონის რამდენიმე ქვეყანაში ან მთელ მსოფლიოში).

კაცობრიობის ისტორიაში დაფიქსირებულია რამდენიმე ტიპის პანდემია, მაგალითად ყვავილის და ტუბერკულოზის. ყველაზე განადგურებელი პანდემია იყო შავი ჭირი, რომელსაც მე-14 საუკუნეში დაახლოებით 75–200 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა. 2020 წლისათვის მსოფლიოში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსული დაავადება (Covid-19).

ძირითადი ნაწილი

საინტერესოა პანდემიის გავლენა გარემოზე, კერძოდ პანდემიური და პოსტპანდემიური გარემო. პანდემიამ COVID-19 მკვეთრი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოზე, გააჩერა გიგანტები, დაისვენა გარემომ, ადამიანები ნაკლებად იყენებენ ტრანსპორტს, რითაც შემცირდა ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ემისია, გასუფთავდა წყალი იმატა ჟანგბადმა და გავრცელდა ჟანგბადის მოყვარული ფაუნა. პირველად ათასწლეულის მანძილზე 2020 წლის გაზაფხულზე ვენეციის არხებში წყალი იმდენად გამდიდრდა ჟანგბადით და გამჭირვალე გახდა, რომ ფსკერზე მოცურავე თევზები შესამჩნევი გახდა შეუიარაღებელი თვალისთვის. ეს მოხდა იტალიაში კარანტინის

პირობების დაწესების შედეგად, რადგან შემცირდა ტურისტების ნაკადი და შესაბამისად მისი თანამდებობა ქმედებები.

შემცირდა მსოფლიოში სამრეწველო საწარმოების მუშაობა, მსოფლიოს ყველაზე დიდი დამბიძურებლის - ჩინეთის მრეწველობის შეჩერებამ მკვეთრი ცვლილებები გამოიწვია გარემოში, ადამიანებმა დაინახეს სუფთა ცა.

პანდემიის პერიოდში ენერგეტიკისა და სუფთა აირის კვლევის ცენტრის მონაცემებით ჩინეთში ჰაერში CO₂-ის გამოყოფა, შემცირდა 25%-ით (3 თებერვლიდან 1-ლ მარტამდე), რაც გამოწვეულია პანდემიის წინაღმდეგ მიმართული ღონისძიებებით (წარმოების მოცულობის შემცირება და ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვა). ცნობილია, რომ მსოფლიოში CO₂-ის გაფრქვევის 30% ჩინეთზე მოდის (ჩინეთი არის ქარის ტურბინების, მზის პანელების და ელექტროკარებისათვის მთავარი და მნიშვნელოვანი ლითიუმ-იონური აკუმულატორების ძირითადი მწარმოებელი). გაიზარდა „სუფთა დღეების“ რიცხვი.

ადამიანი უხეშად ერევა გარემოს ფუნქციონირების პროცესში და ხშირად იწვევს დისბალანსს და ეკოლოგიური მდგრადობის გაუარესებას. ტყეების ჩეხვა და ხანძრები, რომლის ნათელი მაგალითია გახლავთ ბრაზილიაში სულის შემძვრელი ამაზონის ტყეების ხანძარი (ამ ტყეებზე მოდიოდა მსოფლიო ჟანგბადის ბალანსის 20%). ტყეების ჩეხვა, როგორც არა-ეკოლოგიური ქმედება უშუალო კავშირშია სათბურის გაზების ემისიის ზრდასთან და შესაბამისად კლიმატის ცვლილებასთან, რაც ცვლის ფლორა-ფაუნის საცხოვრისს.

გავიხსენოთ ცნობილი მოვლენა საქართველოში - მგლების შემოსევა. ეს არის კარგი მაგალითი არაეკოლოგიური ქმედების შედეგად ფაუნაზე ადამიანის ზემოქმედებისა, როგორც

ექსპერიმენტების დონეზე, ასევე საკვებად გამოყენების შემთხვევაშიც. შედეგმაც არ დააყოვნა პანდემიის სახით. აღნიშნულ შემთხვევაში ხდება პათოგენების მიგრაცია ცხოველიდან ადამიანზე. ადამიანის ჩარევამ ბუნებრივ პროცესებში გამოიწვია ისეთი დაავადებების წარმოშობა და გავრცელება (ფრინველის გრიპი, ებოლა, SARS, დღესდღეობით კი სახეზეა COVID-19). აშშ დაავადებათა კონტროლის და პროფილაქტიკის ცენტრის მონაცემებით ადამიანის ახალი დაავადებების 3/4 ცხოველური წარმოშობისაა. სამართლიანად აღნიშნავს ემორის უნივერსიტეტის ეკოლოგ-მკვლევარი ტომას გილესპი, რომ „პათოგენები არ სცნობენ სხვაობას სახეობებს შორის და არ ცნობენ საზღვრებს სახელმწიფოებს შორის“ (კომერსანტი, 2020). საინტერესოა, რომ პათოგენების უმეტესი ნაწილი კაცობრიობისთვის ჯერ კიდევ უცნობია და არავინ იცის როდის და სად იჩენს თავს. ფაქტი ერთია - მათი ძირითადი ნაწილი არამიზნობრივი არაეკოლოგიური ქმედებების შედეგია.

თუკი პანდემიის პირობებში ამოისუნთქა და დროებით დაისვენა ბუნებამ, შეჩერდა გიგანტების მუშაობა და წარმოების პროცესები, ასევე შეჩერდა გრძელვადიანი პროექტები და თითქმის უკანა პლანზე გადაიწია სახელმწიფოთაშორისმა თანამშრომლობამ კლიმატის ცვლილების წინაღმდეგ ბრძოლაში. ახლა მთავარი პრიორიტეტი გახდა მოკლე ლოკალური პროექტები, რომლებიც უკავშირდება პანდემიასთან ბრძოლის ღონისძიებებს, ადამიანის ჯანმრთელობას, ეკონომიკის სტაბილიზაციას, სამუშაო ადგილების შენარჩუნებას და ინფრასტრუქტურული პროექტებს. ამდენად, გრძელვადიანმა პროექტებმა (მაგ., ენერჯის ალტერნატიული წყაროები, მათი წარმოება და განვითარება) დაკარგა პრიორიტეტულობა.

2020 წლის მარტიდან საქართველოში გაციხადდა საგანგებო მდგომარეობა. მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი და მასში არსებული კრიზისების მართვის ეროვნული სიტუაციური ოთახი (მთავრობის ანგარიში, 2020)

საზოგადოების დაინტერესებას იწვევს გარემოს პოსტპანდემიური პერიოდის ეკოლოგიური მდგრადობა, დარჩება თუ არა ძალაში „მწვანე ეკონომიკის“ მიმართულებები, გარემოს მდგრადი განვითარების მიზნები, რომელიც რომელიც 17 ქვეყნის მიერ იქნა ხელმოწერილი.

პანდემით გამოწვეულმა ეკონომიკურმა და ჯანმრთელობის კრიზისმა არ უნდა დაკარგოს პრიორიტეტი. ევროკომისიის პოზიციის მიხედვით, კლიმატის ცვლილებებისა და ეკოლოგიური კრიზისების უსაფრთხოების მიზნით, კოვიდ-19-ის შემდგომი აღორძინების გული სწორედ „ევროპული მწვანე ეკონომიკა“ (European Green Deal, EDG) უნდა იქცეს (ადეიშვილი, 2020:2)

კორონავირუსის კრიზისიდან გამოსვლის პროცესი არის შანსი, მიღწეულ იქნას ორმაგი ეფექტი - ასტიმულიროს ეკონომიკა, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და ამავდროულად დააჩქაროს მწვანე ტრანზიციის (გარდაქმნა) ახალ დიზაინზე. მთავარი მიზანია აიწყოს და გაცოცხლდეს მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკა და ინდუსტრია, შენარჩუნდეს სასიცოცხლო და უცილებელი ბიომრავალფეროვნების სისტემები და მოგვარდეს კლიმატური ცვლილების საკითხი (სათბურის აირების 50-55%-ით შემცირება 1990 წელთან შედარებით 2030-თვის). ევროპის მწვანე შეთანხმების საინვესტიციო გეგმა მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა: მდგრადი მობილურობა, განახლებადი ენერჯეტიკა, მშენებლობათა განახლება, კვლე-

ვები და ინოვაციები, ბიომრავალფეროვნების აღდგენა, წრიული (ცირკულარული) ეკონომიკა. „მწვანე შეთანხმება“ ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ და ევროპის მდგრად, კლიმატ-ნიეტრალურ ეკონომიკის გადასაქცევად სწორი გადაწყვეტილების გზამკვლევი უნდა გახდეს. (A European Deal, 2020).

დასკვნა

საქართველოს პოსტკრიზისულ გეგმაში შეუძლებელია მწვანე შეთანხმების იგნორირება, მდგრადი განვითარების ფუნდამენტურ პრინციპებზე უარის თქმა. საჭიროა ნაწილობრივ მაინც შევინარჩუნოთ პანდემიის პერიოდში „გარემოს სიმშვიდე“. პანდემიამ მოსახლეობას დაანახა მწვანე პროდუქციის წარმოების უდიდესი შესაძლებლობები და სოფლისავენ მობრუნებულმა მოსახლეობამ უკვე იგემა საკუთარი კარ-მიდამოს ნობათის სიკეთე. ბაზარზე იმატა ადგილობრივმა პროდუქციამ. მოსახლეობა ქალაქებიდან მიგრირდა რეგიონებში, რითაც განტვირთა ქალაქი და გარემოს მდგომარეობაც გაუმჯობესდა.

ამდენად პოსტ-პანდემიური პერიოდი არც ისე საგანგაშოდ გამოიყურება გარემოსთვის, თუკი იქნება სახელმწიფოების მხრიდან სწორად შერჩეული ხედვა, ქმედებები და გარემოს მდგრადი განვითარების, ეკომშვიდობისაკენ მიმართული ღონისძიებების უზრუნველყოფა. (ბანძელაძე და ჩხიროძე, 2012:154). მივიჩნევთ, რომ ერთბაშად და მძლავრად არ მოხდება გიგანტების ამოქმედება, შენარჩუნდება „ზომიერების“ პრინციპი, ეკონომიკის განვითარებასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას შორის. „მწვანე ცხოვრება“ ჩვენი ყოველდღიურობა უნდა გახდეს!

ლიტერატურა:

1. როგორ შეცვლის კორონავირუსი კლიმატურ პირობებს? კომერსანტი (ელვერსია), 23.11.2020. URL:<https://commerciant.ge/ge/post/rogor-shecvlis-koronavirusi-klimatur-pirobebs> (ხელმისაწვდომია 29.11.2020)
2. COVID-19 -ის წინაღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. URL: http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf (ხელმისაწვდომია 29.11.2020)
3. ადვიშვილი, დ. (2020) პოსტპანდემიური გადაწყობა და მდგრადი განვითარების ორიენტირები. URL:<https://sustainability.ge/postpandemic-rearrangement-sustainable-development-orientations/> (ხელმისაწვდომია 29.11.2020)
4. A european Deal (2020). URL:https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en (ხელმისაწვდომია 29.11.2020)
5. ბანძელაძე, მ., ჩხიროძე, დ. (2012) ეთიკა და ეკოლოგიის ზნეობრივი საფუძვლები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. გვ. 147-153.

Darejan Chkhirodze

Ph.D., Associate Professor. Kutaisi University,
Georgia

darejan.chkhirodze@unik.edu.ge

**ECOLOGICAL SUSTAINABILITY OF
PANDEMIC
AND POST-PANDEMIC ENVIRONMENTS**

SUMMARY

The modern fast-paced era, characterized by sudden changes in various processes, these changes can be both positive and negative. In this case we are dealing with a pandemic like COVID-19. The COVID-19 pandemic has hit the world hard, shutting down giants, locking most of the world's population at homes, "resting the environment", people using less transport, reducing the atmosphere, emitting pollutants, diversifying, clearing the sky, clearing the water and oxygen-loving fauna has spread.

The process of overcoming the coronavirus crisis is a chance to achieve a dual effect - to stimulate economies - to create new jobs and at the same time accelerate greenery - to start a new design and revitalize a sustainable, inclusive economy and industry, to maintain vital biodiversity and biodiversity 50-55% reduction compared to 1990 by 2030. The European Green Agreement investment plan covers areas such as: sustainable mobility, renewable energy, building renovation, research and innovation, biodiversity restoration, circular economics. The Green Pact is a guide to the right decisions to respond to the economic crisis and transform Europe into a sustainable and climate-neutral economy.

The impact of the pandemic on the environment in particular the pandemic and post-pandemic environment is interesting. The COVID-19 pandemic

has hit the world hard, shutting down giants, locking up most of the world's population in their homes, resting the environment, using less transport, reducing emissions, making the sky more diverse, brighter and more transparent. The water was purified, oxygen increased, and oxygen-loving fauna has spread; In the spring of 2020, the water in the canals of Venice became so rich in oxygen and transparent that fish appeared on the bottom, Pisces, it was in Italy that the quarantine rules were introduced, reduced the flow of tourists in accordance with its accompanying actions.

The work of industrial enterprises in the world has decreased, the cessation of Chinese industry of the world's largest polluter has drastically breathed the environment, people have seen the clear sky.

According to the Energy and Clean Air Research Center during the pandemic, CO₂ emissions from air in China fell by 25% (from February 3 to March 1) due to anti-pandemic measures. , Reduce production volume and restrict transportation. It is known that 30% of world CO₂ emissions come from China. The number of "clean days" has increased

Humans rudely interfere with the functioning of the natural environment and often lead to imbalances and deteriorating environmental sustainability! Deforestation and wildfires, a clear example of which is the devastating forest fires in Brazil. (These forests accounted for 20% of the world's oxygen balance).

The European Green Agreement investment plan covers areas such as: sustainable mobility, renewable energy, building renovation, research and innovation, biodiversity restoration, circular economy. The Green Agreement is a guide to the right decisions to respond to the economic crisis and transform Europe into a sustainable and climate-neutral economy;

Georgia's post-crisis plan cannot ignore the Green Agreement and the fundamental principles of sustainable development can not be abandoned and

do not keep the pandemic of the period, the "calm of the environment", at least in part, the greatest opportunities for the production of green products. Local products increased in the markets, the population managed not only to provide for their own families, but also to bring the produced products to the market and to supplement the family budget, the population migrated from the cities to the regions, thus unloading the city and improving the environment. Thus, the post-pandemic period will not be so alarming for the environment, if there is a correct vision of the states and the provision of measures aimed at sustainable development and eco-peace.

And at once the giants will not be heavily loaded "Green life" will become our everyday life.

KEYWORDS: Ecological peace, sustainable development, COVID-19, Pandemic, Green Economy

J.E.L. classification: O01, Q57, Q58.

References:

1. How does the coronavirus change climatic conditions? "Commerzant". 23.11.2020. URL:<https://commerzant.ge/ge/post/rogor-shecvlis-koronavirusi-klimatur-pirobebs> (available 29.11.2020)
2. Report on the measures taken by the Government of Georgia against COVID-19. URL: http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf (available 29.11.2020)
3. Adeishvili, D. (2020) Postpandemic rearrangement and sustainable development orientations. URL:<https://sustainability.ge/postpandemic-rearrangement-sustainable->

[development-orientations/](#) (available 29.11.2020)

4. The European Deal (2020). URL:https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en (available 29.11.2020)
5. Bandzeladze, M., Chkhirodze, D. (2012) Ethics and the Ethical Foundations of Ecology. Kutaisi. Akaki Tsereteli State University Publishing House. P. 147-153.

THE CHALLENGES FACING THE EDUCATION SYSTEM INTO PANDEMIC CONDITIONS AND WAYS TO SOLVE THEM – GEORGIAN EXPERIENCE

Tea Valishvili

Associate professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi University, Georgia

tea.valishvili@atsu.edu.ge

Lia Genelidze

Visitor Teacher, Akaki Tsereteli State University, Georgia

lia.genelidze@atsu.edu.ge

Iagor Balanchivadze

Associate professor Akaki Tsereteli State University, Georgia

iagor.balanchivadze@atsu.edu.ge

KEYWORDS: Education process, e-learning, pandemic, online platforms.

J.E.L. classification: A20, I23

Abstract

2020 turned out to be a time of mobilization of special efforts for the whole world. Many countries have faced great challenges due to the widespread pandemic; it also has affected educational systems worldwide. Georgia was one of them, so Georgian government has begun to work hardly and has quickly switched to a new system, especially in education. In this topic, we will discuss the situation in Georgia in the education system before pandemic, what the Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia done, how schools and universities worked to introduction e-learning program for students and how they were engaged in this time. During this period we also conducted online survey of about 900 people of all ages, who were involved in e-learning process, including pupils, students, lecturers, and teachers. We studied how they assessed the e-learning process, what problems they faced, what they learned and how they would use this experience in the future.

Introduction

Due to the widespread pandemic in 2020 all aspects of public life, including education, have faced significant challenges all over the world, Georgia was no exception either. (UNESCO, 2020). The Georgian government has had to make some changes to the education system, among other thing, to avoid spreading of new Corona Virus in Georgia. So according to the ordinance, since March 30, 2020, in both general education and higher education institutions teaching has to be conducted remotely. This form of teaching is designed specifically for students who cannot be physically present in a traditional auditorium or office, this method is flexible for groups of students who want to study while working, as well as very important for students with disabilities and people in the penitentiary system. Although the method of e-learning was quite popular and widely used in many developed countries all around the world, Georgian educational institutions

weren't well-prepared for that. Moving the learning process to the online space has created a number of special issues, such as student's involvement in the process, their motivation and the development of self-regulation skills while working.

Education process into pandemic conditions – Georgian experience

The introduction of e-learning in Georgia has been active since 2008, when it was involved in the project "E-learning in the Caucasus". As part of this project, pilot e-learning courses have been developed and implemented in more than 20 educational institutions in Armenia, Azerbaijan and Georgia. However, these were only the first steps. In 2011, the law amended that people living in Georgia will be able to receive education at the first and second levels of academic higher education in electronic form, although this has been only an addition to traditional teaching. As we already mentioned, e-learning method was not fully implemented in any higher education institution. In Georgia as well in many other countries of the world, majority of teachers approved online learning as it makes higher education available to more students. However, only few professors considered e-learning to be effective. Or, put differently, few professors believe that online learning has positive effect on student learning. (Pomerantz, J. et al., 2017) This method was partly implemented in several universities in combination with traditional teaching. Also there was a virtual lab that students could use to conduct experiments virtually.

During this period many schools (not only in the region) faced specific problems. Initially, in order to ensure the continuity of the learning process, teachers used the Internet to work in closed groups - to provide students in each class with new lesson materials, key questions and assignments, and to get feedback.

We all agree that that there is no ready-made recipe with special ingredients that will make you a good teacher we all need to find our own ways to master the profession facing the challenges (Alavidze, 2017). At this time, the educational program of Microsoft Teams provided by the Ministry of Education and Science of Georgia has been added and introduced to educational system to support e-learning. The Ministry has created user account of Microsoft Office 365, for about 600,000 students from public schools in Georgia and about 55,000 teachers and school administration representatives, through the LEPL - Education Management Information System (EMIS). The portal has been created that allows students and their parents to access student's data without the direct involvement of the school administration and the teacher, also set up virtual classrooms for every classes and disciplines. Besides, in all districts of Georgia, support groups from volunteer experts has been created to help teachers to understand the technology of e-learning, also support groups of "New School Model" are actively working on about school reform, where important component is the introduction of distance learning and the sharing of experiences with other schools and teachers. According to statistics, 750 active users are involved in Microsoft TEAMS every day. In total, TEAMS has 138,698 active users; on March 23, Office 365 had 143,140 active users; the e-mail and online data warehouse (One Drive) had about 14,000 active users.

Moving to a new model of learning has identified many problems. At first, such as poor computer skills and internet access problem too, but later published the research by The Organization for Economic Cooperation and Development – OECD, where it was showed that compared to other countries Georgia was ready quite well. (OECD, 2020)

On March 30, 2020, the Ministry of Education,

Science, Culture and Sports of Georgia, together with the First Channel of Public Broadcasting, launched the new project “First Channel Education”. The students of the TV School had an unprecedented opportunity for e-learning process to attend the lessons from the first grade to the 12th grade, which were conducted by experienced teachers. The lesson timetable was compiled based on the National Curriculum, all subjects were taught once a week for all classes, and certain subjects were taught twice a week for entrants. Also lessons were provided for students with special needs and disabilities, a psychologist and a translator were involved too. The project also includes the additional lessons: music, dance, song, exercise and chess. It’s important to say that lessons were provided for non-Georgian language students too in Armenian and Azerbaijani. (Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia, 06.04.2020)

As for the higher education system, they were able to quickly mobilize resources and move to a distance learning mode, in order to provide a continuous process of education for students. As soon as the pandemic began, the first stage of the Council of Rectors, convened at the initiative of the Minister, recommended that the spring semester be resumed on March 16 in e-learning mode. This would allow them to replace the online teaching method with a hybrid form after students return to the classroom. Since one common challenge faced by all universities, the process was conducted through mutual assistance and sharing of experiences between universities. Universities have been advised to follow the guidelines for e-learning and quality assurance developed by the European Association of Higher Education Quality Assurance (ENQA). In addition, an e-learning assistance document was specially created.


At this time, higher education institutions use a variety of applications and online platforms to promote distance learning: Zoom, Microsoft Teams,

Moodle and Google Classroom. They have also developed relevant guidelines and video instructions for academic staff and students. The learning process has modified for better management of e-learning process, online lectures/seminars are uploaded to the appropriate platform and are available for students, also reviewed teaching methods and assessment systems too. The universities have determined the evaluation mechanism based on the recommendation of the Ministry. The learning courses, which include a practical component and laboratory work, will be conducted in an intensive mode when we will return to the university space. (View Point, 2020)

During this time, we conducted online survey of about 900 people of all ages, who were involved in e-learning process, including pupils, students, lecturers, and teachers. It’s interesting that only 12% of respondents had practical experience of e-learning, the rest had only theoretical knowledge or some general information. Educational institutions managed to get involved in e-learning process very quickly, 97% of the respondents were involved in the first month. To actively participate in this process, educational institutions provided various types of technical assistance to students, as well as lecturers / teachers too.

About the question what was the problems they faced at e-learning process, answers was different, 30% of respondents said that they hadn’t any type of problems, around 28% said that main problem was unstable access to the Internet, but most of them had mobile internet, around 16% of respondents noted that psychological unpreparedness was their main problem, others mentioned that less effective communication (13%), lack of computer skills (12%) and no proper equipment (12%) was also the big problem (Figure 1).


Figure 1. what was the problems you faced at e-learning process?



Attendance at e-lectures was high, ranging between 85-93%. Most of students used mobile phones (about 45%), others laptops, tablets or personal computers. During the e-learning process, a large proportion

of respondents experienced a sense of comfort, satisfaction and enthusiasm (70%), while for some the process turned out to be stressful and tense (30%). Figure 2.


Figure 2. How did you feel at e-learning process?



As for the question, what were the positive features of e-learning, 42% of respondents said that it helped them not to stop the learning process, 20% mentioned that it's possible to repeat the recorded lecture, 12%

said that effective pedagogical relationship is maintained, for others it was important that safety was fully ensured(9%), that the learning process is going smoothly (9%) and students are present actively (8%). Figure 3.

Figure 3. What were the positive features of e-learning?



The use of e-learning elements in the learning process was acceptable for 61% of respondents and they will try to use the e-learning elements in the future, 29% only in extreme cases think about using this tool, for the remaining 10% it is undesirable to use it in the future.

According to the respondents, the school/university has coped quite effectively with the transition to e-learning, they rate the activities of the educational institution with an average score of 4.1 (from 5), also respondents believe that the use of e-learning was an interesting and useful experience in the learning process, which is rated with an average score of 4.2 (from 5).

Microsoft Corporation and the International Organization for Economic Development and Cooperation(OECD) gave high assessments to the Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia to promote distance learning in the context of the COVID-19 crisis. According to Anthony Salsito, Vice President for Education at Microsoft Corporation, Georgia has managed transition to online education with good results. Salsito noted that the crisis has once again shown how effectively used digital learning tools in Georgia, also the project of TV-school was very useful for students who are

living in different regions and maybe had problems of internet access, that was good step from the Ministry of Georgia for developing students' skills to find themselves facing the challenges of the 21st century. (Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia, 15.05.2020).

It should be noted that The International Organization for Economic Co-operation and Development (OECD) has realized a report about the challenges created in the education field during the COVID-19 pandemic in 2020 and the steps taken by the Georgians to ensure continuous education process measured as the best, including the “TV School” project too. The Ministry of Georgia was able to instantly mobilize all teachers and people involved in education system, which led to the continuation of the learning process and the protection of the health of students and teachers. Education was available to students from all regions of Georgia, because of schools’ and universities’ administrations, lecturers and teachers tried not to interrupt the learning process, also supporting and engagement of students and pupils has determined the academic achievements of each of them (Reimers et al, 2020)

Conclusion

The rapid spread of COVID-19 has demonstrated so many different issues, what about we didn't think before, there were so many problems and challenges from the beginning and every country tried really hard to do their best in every spare. For us that for education system and every person worked to do their job for new generation, for students. For sure we needed rapid technological changes, also that were an opportunity to remind ourselves of the skills as informed decision making and creative problem solving, that was the great way for students to learn quick adaptability in the new world and make their own decision. As research has shown, one of the main problem in switching to online learning was psychological unpreparedness and lack of appropriate technical equipment. Therefore, it's important that educational institutions and relevant governmental agencies should carry out preparatory work for 2020-2021 academic year, which will significantly increase the effectiveness of online teaching.

These processes have really changed our life, introduced new systems into the learning process, developed certain areas, and our community adapted to the new technological challenges. Through this pandemic, the importance of disseminating knowledge across borders, companies, and all parts of society is quite clear. If online learning technology can play a role here, it is incumbent upon all of us to explore its full potential and work together for future success.

As we have seen online learning is considered to be a fully acceptable and effective method in parallel with traditional teaching methods, both by pupils and students, as well as by teachers. Therefore, even if the created pandemic situation allows us to conduct the educational process in the learning classrooms, this method will remain an active method of teaching. The decisions by Georgian government due pandemic

situation were positively assessed by various important organizations around the world. This new steps in education system are relevant and very important for students and all of the new generation.

References

1. UNESCO, 2020. *Educational Disruption and Response*. URL: <https://en.unesco.org/covid19/educationresponse> (available: 22.11.2020)
2. Pomerantz, J. and Brooks C., (2017). *ECAR Study of Faculty and Information Technology, 2017. Research report*. Louisville, CO: ECAR, October.
3. Alavidze, M. (2017) Why do I Consider Teaching to Be an Art? *International Journal of Multilingual Education*, # 10. pp. 18-29.
4. Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia, 06.04.2020. *Georgia is considered one of the best examples of distance learning according to the OECD report*. URL:<http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=10284> (available: 22.11.2020)
5. View Point, 2020, The specialization of distance learning of universities, imagine, different application and online platforms can, Tbilisi, Georgia URL:<https://tvalsazrisi.ge/> (available: 22.11.2020)
6. Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia, 15.05.2020. *Assessment of International Partners: Georgia has successfully overcome the challenges facing the education system during the pandemic*. URL:<https://mes.gov.ge/content.php?id=10323&lang=geo> (available: 22.11.2020)
7. Reimers F. M., Schleicher A., (2020). *A framework to guide an education response to the COVID-19 Pandemic of 2020*. Organisation for Economic Co-operation and Development (OECD) URL:https://globaled.gse.harvard.edu/files/geii/files/framework_guide_v2.pdf (available: 22.11.2020)

COVID-19-ის გავლენა საქართველოს ტურიზმის სექტორზე

ციცინო დავითულიანი

გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ქუთაისის უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
tsitsino.davituliani@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: კორონავირუსი, ტურიზმი, ვიზიტორები, კრიზისი.

J.E.L. classification: H12, E61, Q38

ანოტაცია

კორონავირუსმა ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია არა მარტო უშუალოდ ტურიზმის სექტორში, არამედ მასთან პირდაპირ და ირიბად დაკავშირებულ დარგებშიც. კაპიტალის ბრუნვა წინა 2019 წელთან შედარებით 2089.1 მლნ-დან 690,1 მლნ-მდე შემცირდა. მხოლოდ 2020 წლის თებერვლის თვეში საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა წინა წლის იგივე მონაცემთან შედარებით 0,7%-ით შემცირდა. ტურისტების შემცირება აისახა სარესტორნო ბიზნესზე, სავაჭრო ობიექტების ბრუნვაზე და ა.შ. 2019 წელთან შედარებით მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა რიცხვი 18 ათასზე მეტი კაცით შემცირდა. მნიშვნელოვანი კლება აღინიშნა იმერეთის რეგიონშიც.

შესავალი

კორონავირუსი - COVID-19 მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს როგორც გლობალური, ისე რეგიონალური ეკონომიკისათვის. დღეს პანდემიის ნეგატიურმა ზეგავლენამ მსოფლიოს ეკონომიკაზე შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ზუსტი პროგნოზის გაკეთება დღევანდელ სწრაფად ცვლად გარემოში შეუძლებელია.

აზიის განვითარების ბანკის გავრცელებულ

ანგარიშში განხილულია პანდემიის მოსალოდნელი შედეგები, რაც დაკავშირებულია იმ დროზე, რომელიც ვირუსის საბოლოო დამარცხებას დასჭირდება. იმავე ანგარიშის მიხედვით, პანდემია 77 \$ (0,08% მშპ) მილიარდიდან 347\$ მილიარდამდე (0,4% მშპ) ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას (EPRC, 2020:9).

საქართველოში კოვიდვირუსის პირველი შემთხვევა 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა და უკვე მარტში დაიწყო გამოვლენა პანდემიის ხილულმა ეფექტებმა:

- გაზრდილი მოთხოვნები პროდუქტებზე;
- უმუშევრობის გარდაუვალი ზრდა;
- საერთაშორისო გზავნილების შემცირება;
- უცხოელი ტურისტების ნაკადის მკვეთრი შემცირება და ა.შ.

ძირითდი ტექსტი

ბოლო პერიოდში ტურიზმი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვან სექტორად იქცა, მასზე მოდის საქართველოს მშპ-ის 11%. 2019 წელს შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ 9,3 მლნ-ს გადააჭარბა, რაც წინა 2018

წელს 7,8 %-ით აღმატებოდა, ზრდადობა ყოველწლიურად თვალსაჩინო იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით 2020 წლის პროგნოზით ვიზიტორთა რაოდენობის 10 მლნ-მდე გაზრდას ელოდებოდნენ.

კორონავირუსმა ერთ-ერთი ყველაზე დიდი დარტყმა მსოფლიოს ტურიზმს მიაყენა და ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ჩვენი ნაშრომის მიზანია საქსტატის, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მასალების შედარებითი ანალიზის საფუძველზე დავადგინოთ რამდენად შეცვალა კოვიდ ვირუსმა მოსალოდნელი შედეგები ტურიზმის სექტორში მთლიანად ქვეყანაში და იმერეთის რეგიონში.


COVID-19-მა ყველაზე ნეგატიური ზეგავლენა სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაზე მოახდინა ჩაკეტილი საზღვრებისა და მოგზაურობის შიშის გამო. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) ანალიზის მიხედვით, რომელიც

პოტენციურ მოდელად 2003 წელს გავრცელებულ პანდემიის SARS-ის სცენარს განიხილავს, მსოფლიო ტურიზმი ვიზიტორების 1-3%-იან შემცირებას უნდა ელოდოს, მაშინ როცა 2019 წელს გაკეთებული პროგნოზის მიხედვით ვიზიტორთ არაოდენობა 2020 წელს 3-4%-ით უნდა გაზრდილიყო, რაც მსოფლიო ტურიზმს ჯამში 30-50 \$ მილიარდამდე ზარალს მიაყენებს (UNCTAD, 2020).

მსოფლიო ტურიზმის კრიზისმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოზეც, უკვე 2020 წლის თებერვლის თვეში საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა წინა წლის იგივე მონაცემთან შედარებით 0,7 %-ით შემცირდა. თუმცა ამავე პერიოდში აღინიშნა გარკვეული ზრდადობაცალკეულ ქვეყნებზე, კერძოდ 161.5%-იანი ზრდა შეინიშნებოდა თებერვლის თვეში ესტონეთიდან ჩამოსულ ტურისტებზე. ტურისტული ნაკადის საგრძნობი ზრდა შეიმჩნეოდა ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდანაც: პოლონეთი-84.8%, იტალია-81.2%, საფრანგეთი-52.4% და გერმანია-38% (იხ.ნახ. 1).

ნახაზი 1

ტურისტთა ნაკადების ზრდა ცალკეულ ქვეყნებში 2020 წლის თებერვალში (%)



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (<https://gnta.ge/ge/>)


ხუთივე ზემოთ აღნიშნული ქვეყანა ახლა პანდემიის გავრცელების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება, საქართველოს ყველა მათგანთან საზღვარი ჩაკეტილი აქვს.

რაც შეეხება უკანასკნელი წლის სტატისტიკას: ევროკავშირიდან და ირანიდან შემოსული ვიზიტორები მნიშვნელოვან სეგმენტს შეადგენენ ქართულ ტურიზმში. 2019 წელს შემოსულ ვიზიტორთა სრული რაოდენობის 6.28%-ს შეადგენდნენ ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორები. ევროკავშირიდან შემოსულ ვიზიტორთა ნაკადი 2018 წელთან შედარებით დაახლოებით 26%-ით მეტი იყო. ირანელი ვიზიტორების წილი შედარებით მცირე იყო, თუმცა საერთო ვიზიტორების 1.52%-ს შეადგენდა. 2019 წელს ირანელი ვიზიტორების რიცხვმა მნიშვნელოვანი კლება განიცადა 2018 წელთან შედარებით და 51.2%-ით შემცირდა, რაც სასაზღვრო კონტროლის გამკაცრებითა და ირანის ეკონომიკური სტაგნაციით იყო განპირობებული.

მას შემდეგ, რაც სამოგზაურო შეზღუდვები უკვე პრაქტიკულად ყველა ქვეყანაზეა გავრცელებული, მათ შორის მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთზეც, ცხადია გავლენა ტურიზმის სფეროზე კიდევ უფრო გაიზარდა. ჩაკეტილი საზღვრები და სამოგზაურო შეზღუდვები საქართველოს ტურისტულ სექტორს დააზარალებს და, სავარაუდოდ, შეანელებს ბაზრის დივერსიფიკაციის პროცესს.

კრიზისი აღინიშნება არამარტო უშუალოდ ტურიზმის სექტორში, არამედ მასთან პირდაპირ და ირიბად დაკავშირებულ დარგებზეც. ტურისტების შემცირება აისახება სარესტორნო ბიზნესზე, სავაჭრო ობიექტების ბრუნვაზე და ა.შ. ამ ბიზნესებზე ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ტურისტების შემცირება, არამედ სხვადასხვა შეზღუდვები, რომლებიც დისტანციების დაცვას ისახავს მიზნად (ნახ.2).

ნახაზი 2




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (<https://gnta.ge/ge/>)

ეკონომიკური გავლენის მასშტაბის შესაფასებლად უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში 44 663 კაცი იყო დასაქმებული; 2019 წელს 48 634 კაცი. იგივე მონაცემები 2020 წლის I კვარტალში 38 661 კაცს შეადგენდა, რომელიც მეორე კვარტალში 30 215 კაცამდე შემცირდა. ანუ 2019 წელთან შედარებით მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმებულთა რიცხვი 18 ათასზე მეტი კაცით შემცირდა. ხოლო კაპიტალის ბრუნვა

წინა 2019 წელთან შედარებით 2089.1 მლნ.–დან 690,1 მლნ.–მდე შემცირდა (2020 წლის 2 კვარტლის მონაცემები). იგივე მონაცემები იმერეთის რეგიონში 2019 წელს 2536 კაცს შეადგენდა.

საქართველოში ვიზიტორთა მიერ მონახულებადი რეგიონების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ბოლო 6 წლის განმავლობაში იმერეთს თბილისის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს, ხოლო საერთო პროცენტული მაჩვენებელი 17–21% ფარგლებში მერყეობს. გამოწვევის არც 2020 წელი წარმოადგენს (ნახ. 3).

ნახაზი 3



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (<https://gnta.ge/ge/>)

2020 წლის 2 კვარტლის მონაცემების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავადგინოთ, რომ კლებადობა თვალსაჩინოა ხუთივე რეგიონში, 2019 წელთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობა 6 თვის განმავლობაში წინა წლის 25 %-ზე მეტი არ არის არცერთ რეგიონში.


თუ განვიხილავთ 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების

მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების საშუალო რაოდენობას, 2019 წლის საშუალო რაოდენობა 197,8 ათასს შეადგენდა, იგივე მაჩვენებელი 2020 წლის პირველ კვარტალში შეადგენდა – 150,8 ათასს, ხოლო მეორე კვარტალში 12,2 ათასს, ანუ 2 კვარტლის მონაცემებით საშუალო თვიური რაოდენობა შეადგენდა მხოლოდ 27,1 ათასს, რაც 170 ათასით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.

ხოლო მონახულებადი ქვეყნების მიხედვით პირველ ადგილზე დგას საქართველოს მეზობელი ქვეყნები – თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი.

მნიშვნელოვანი კლება აღინიშნება დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობაშიც (იხ.ნახ.4).

ნახაზი 4



წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო (<http://apa.gov.ge/>)

დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტატისტიკური მასალების ანალიზით ვადგენთ, რომ 2020 წლის 7 თვის განმავლობაში საქართველოს დაცული ტერიტორიები მოინახულა 112612 ვიზიტორმა (აქედან 21176 უცხოელი), იგივე მაჩვენებელი 2019 წლისათვის 1 199 011 შედგენდა, ანუ აღნიშნულ პერიოდში ვიზიტორთა რაოდენობა, წინა წლის ვიზიტორთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 11,6% შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ წინა წლებში ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით პირველ ხუთეულში იმერეთიდან 3 დაცული ტერიტორია შედიოდა – პრომეთეს მღვიმე, სათაფლია და ოკაცეს კანიონი წელს აღნიშნული სამეულიდან მხოლოდ პრომეთეს მღვიმე შევიდა ხუთეულში და ისიც მესამე ადგილზე

– 10 581 ვიზიტორით. გასულ 2019 წელს მას 184 264 ვიზიტორი ესტუმრა. იგივე მდგომარეობა ოკაცეს კანიონზეც შარშან მას 92 ათასზე მეტ ვიზიტორს უმანსპინძლა, წელს მხოლოდ 52 96–ს (ნაცვლად პროგნოზირებადი 100 000 ვიზიტორისა), სათაფლიას წელს 6002 ვიზიტორი ესტუმრა 7 თვის განმავლობაში, იგივე მაჩვენებელი 2019 წელს 74198 ვიზიტორს შეადგენდა. მარტო ზემოაღნიშნულ ობიექტების მონახულების რიცხვი გვიჩვენებს, რამდენად დიდი სხვაობა გასულ და წლევიანდელ წლების ვიზიტორთა რაოდენობაში. ამას ემატება ტურიზმის ირიბად დაკავშირებულ დარგებშიც, რაც თვალნათლივ წარმოაჩენს ეკონომიკურ კრიზისს იმერეთის ტურისტულ სექტორში.

იმედია კორონა ვირუსი COVID-19 მალე დაიძლევა მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც და დაიწყება ეკონომიკური წინსვლა და მათ შორის ტურიზმის სექტორში. იმედის მომცემია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა სამოგზაურო გამოცემამ National Geographic-მა საქართველო, სვანეთის რეგიონი 2021 წელს მსოფლიოს 25 საუკეთესო მიმართულებებს შორის დაასახელა, რომელსაც ტურისტები პოსტპანდემიურ პერიოდში უნდა ეწვიოს.

ამერიკული სამოგზაურო გამოცემა „Thrillist“ 13 საუკეთესო ქვეყანას აღწერს, სადაც ცხოვრებას ურჩევს ამერიკის მოქალაქეებს. იგი პოპულარული ტურისტული ქვეყნების გვერით საქართველოსაც ასახელებს. გამოცემის ჟურნალისტი საქართველოში ჩამოსასვლელად პროექტ „იმუშავე საქართველოდან“ გამოყენებას ურჩევს. აღნიშნულ პროექტში მონაწილეებს საქართველოს მთავრობამ სავიზო მოთხოვნები შეამსუბუქა და ახალი პროგრამით „იმუშავე საქართველოდან“ უცხოელებს საშუალება აქვთ საქართველოდან დისტანციურად იმუშაონ და 1 წელი ამ ქვეყანაში სრულად გაატარონ, ამისათვის მათი შემოსავალი თვეში მინიმუმ 2 ათასი დოლარი უნდა იყოს. – წერს სტატიის ავტორი და აღნიშნავს, რომ საქართველო მოგზაურებს კავკასიონის მთებით, ქართული კულინარიით, ღვინით და ხელმისაწვდომი ფასებით იზიდავს (National Geographic, 2020).

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით პროექტის “იმუშავე საქართველოდან” ფარგლებში 27 აგვისტოდან 25 ოქტომბრის ჩათვლით სხვადასხვა ქვეყნის 1,100-მდე მოქალაქე დარეგისტრირდა. იმედია აღნიშნული პროექტით მეტი მოგზაური დაინტერესდება, ჩამოვლენ საქართველოში, მათ შორის იმე-

რეთის რეგიონშიც, რაც ნაწილობრივ მაინც გააუმჯობესებს ეკონომიკურ სიტუაციას ქვეყნის ტურიზმის სექტორში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, EPRC, (2020) – COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის.
2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. URL: <https://gnta.ge/ge/>
3. საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო URL:<http://apa.gov.ge/> (ხელმისაწვდომია 21.11.2020);
4. “The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia”, Asian Development Bank, 6.03.2020. URL: <https://bit.ly/2UpeGe9> (ხელმისაწვდომია 21.11.2020);
5. “The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It.” UNCTAD, 9.03.2020. URL: <https://bit.ly/2WwcW5O> (ხელმისაწვდომია 21.11.2020);
6. URL: <https://www.nationalgeographic.com/travel/features/best-of-the-world-2021/> (ხელმისაწვდომია 21.11.2020);

Tsitsino Davituliani

Doctor of Geography, Associate Professor;
Akaki Tsereteli State University, Kutaisi
University, Georgia
tsitsino.davituliani@unik.edu.ge

**COVID-19 IMPACT ON THE GEORGIAN
TOURISM SECTOR
SUMMARY**

The coronavirus has caused an economic crisis not only directly in the tourism sector, but also in areas directly and indirectly related to it. Capital turnover decreased from 2089.1 million to 690.1 million compared to the previous 2019. In February 2020 alone, the number of international tourists decreased by 0.7% compared to the same period last year. The decrease in tourists was reflected in the restaurant business, the turnover of shopping facilities, etc. Compared to 2019, the number of employees in hotels and restaurants alone has decreased by more than 18 thousand people. A significant decrease was also observed in the Imereti region.

Corona virus COVID-19 poses a significant threat to both the global and regional economies. Today, the negative impact of the pandemic on the world economy has become irreversible. It is impossible to make an accurate forecast in today's rapidly changing environment.

The first case of kovidivirus in Georgia was detected on February 26, 2020, and already in March the visible effects of the pandemic began to be detected:

- Increased demands on products;
- The inevitable rise in unemployment;
- Reduction of international remittances;
- A sharp decrease in the flow of foreign

tourists, etc.

Recently, tourism has become one of the leading sectors of our country's economy, accounting for 11% of Georgia's GDP. The number of visitors in 2019 exceeded 9.3 million, which was 7.8% more than in the previous 2018, the increase was visible every year. With this in mind, the number of visitors was expected to increase to 10 million by 2020.

The coronavirus has dealt one of the biggest blows to world tourism and caused an economic crisis. Georgia is no exception. The aim of our paper is to determine based on a comparative analysis of statistical materials provided by Geostat, the Agency of Protected Areas and the National Tourism Administration how much the Covid virus has changed the expected results in the tourism sector as a whole in the country and in the Imereti region.

COVID-19 has had the most negative impact on the tourism industry precisely because of closed borders and fears of travel. According to the analysis of the World Tourism Organization (UNWTO), which considers the SARS scenario of the pandemic in 2003 as a potential model, world tourism should expect a 1-3% decrease in visitors, while according to the forecast made in 2019, the number of visitors in 2020 is 3-4% Should increase global tourism to a total loss of \$ 30-50 billion (UNCTAD, 2020: 9.03).

The global tourism crisis has had a big impact on Georgia as well, already in February 2020 the number of international tourists decreased by 0.7% compared to the same period last year. However, during the same period, there was a certain increase in some countries, in particular, a 161.5% increase was observed in tourists from Estonia in February. Significant increase in tourist flow was also observed

from other EU countries: Poland - 84.8%. Italy - 81.2%, France - 52.4% and Germany - 38%.

Since travel restrictions have already been extended to virtually all countries, including neighboring Azerbaijan and Armenia, the impact on the tourism sector has clearly increased. Closed borders and travel restrictions will hurt Georgia's tourism sector and likely slow down the market diversification process.

To assess the scale of the economic impact, it should be noted that according to official data for 2018, 44,663 people were employed in hotels and restaurants alone; In 2019, there were 48,634, the same data as 38,661 people in the first quarter of 2020, which decreased to 30,215 people in the second quarter. That is, compared to 2019, the number of employees in hotels and restaurants alone has decreased by more than 18 thousand people. And capital turnover decreased from 2089.1 million to 690.1 million compared to the previous 2019 (data for 2 quarters of 2020). The same data in the Imereti region in 2019 amounted to 2536 people.

There is also a significant decrease in the number of visitors to protected areas. Analyzing the statistical materials of the Agency of Protected Areas, we find that 112612 visitors (including 21176 foreigners) visited the Protected Areas of Georgia during the first 7 months of 2020, the same figure was 1,199,011 for 2019, ie only 11.6 % of the total number of visitors in the previous year.

If we take into account the fact that in previous years the number of visitors in the first five included 3 protected areas from Imereti - Prometheus Cave, Sataplia and Okatse Canyon this year only Prometheus Cave entered the top five and it is in the third place with 10,581 visitors. In 2019, it was

visited by 184,264 visitors. The situation is the same in Okatse Canyon last year it hosted more than 92 thousand visitors, this year only 52 96 (instead of the projected 100 000 visitors), Sataplia visited 6002 visitors in 7 months in 7 months, the same figure in 2019 was 741988 visitors. The number of visits to the above facilities alone shows how big the difference is in the number of visitors of the past and present years. Added to this are the indirectly related sectors of tourism, which clearly shows the economic crisis in the tourism sector of Imereti.

It is hoped that the corona virus COVID-19 will soon be overcome in the world, including Georgia, and will start economic progress, including in the tourism sector. It is also encouraging that National Geographic, one of the most influential travel publications in the world, has named Georgia, Svaneti region, among the top 25 destinations in the world in 2021, which tourists should visit in the post-pandemic period.

The American travel magazine "Thrillist" describes the 13 best countries, where it advises American citizens to live, in which it names Georgia among the popular tourist countries. The journalist of the publication recommends using the project "Work from Georgia" to come to Georgia. The Georgian government has eased visa requirements for participants in the project, and with the new "Work from Georgia" program, foreigners can work remotely from Georgia and spend a full year in the country, earning at least \$ 2,000 a month. - The author of the article writes and notes that Georgia attracts travelers to the Caucasus Mountains, Georgian cuisine, wine and affordable prices (nationalgeographic, 2020).

According to the National Tourism Administration, up to 1,100 citizens from different

countries were registered within the framework of the project "Work from Georgia" from August 27 to October 25. Hopefully, more travelers will be interested in this project, they will come to Georgia, including the Imereti region, which will at least partially improve the economic situation in the country's tourism sector.

KEYWORDS: Coronavirus, Tourism, Visitors, Crisis.

J.E.L. classification: H12, E61, Q38

References:

1. Economic Policy Research Center (EPRC), 2020 – COVID-19 Economic consequences for the world and for Georgia. p.9
2. National Statistics Office of Georgia

(GEOSTAT) URL: <https://www.geostat.ge> (available: 21.11.2020).

3. Georgian National Tourism Administration URL:<https://gnta.ge/ge/> (available: 21.11.2020).

4. Agency of Protected Areas URL:<http://apa.gov.ge> (available: 21.11.2020).

5. "The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia", Asian Development Bank, March 6, 2020 URL: <https://bit.ly/2UpeGe9> (available: 21.11.2020).

6. "The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It." UNCTAD, March 9, 2020. URL: <https://bit.ly/2WwcW5Ohttps://www.nationalgeographic.com/travel/features/best-of-the-world-2021/> (available: 21.11.2020).

მაკროეკონომიკა, ფინანსები
MACROECONOMICS, FINANCE

ეკონომიკური თავისუფლების ადგილი ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში

ნინო ორჯონიკიძე

ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო

უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

orjonikidzen@gmail.com

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, კეთილდღეობა, თავისუფალი ბაზარი, ინდექსი, დემონსტრირება, ღონისძიება, ტარიფი.

J.E.L. classification: E6, G28, F53.

ანოტაცია

საბაზრო ეკონომიკა ემყარება ეკონომიკურ თავისუფლებას, რაც არჩევანის თავისუფლებაში გამოვლინდება. არჩევანი კონკურენციის უმთავრესი წინაპირობაა, ხოლო კონკურენცია-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს და მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა. რამდენად ასრულებს ამ პირობებს მსოფლიოს 180-მდე ქვეყანა და მათ შორის, საქართველო, ამას საერთაშორისო ფონდი Heritage 1995 წლიდან ყოველწლიურად იკვლევს. საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ყოველწლიურად იცვლება.

შესავალი

ეკონომიკური თავისუფლება - ეს არის ადამიანის უფლება შეეძლოს საკუთარი სიმდიდრის, შემოსავლების, დროისა და ძალღონის თავისუფლად განკარგვა. ეკონომიკური თავისუფლება გამოდის როგორც ინდივიდის უმთავრესი მიზნის მიღწევის საშუალება. ეს ტერ-

მინი გამოიყენება ეკონომიკურ და პოლიტიკურ დებატებში. ეკონომიკური თავისუფლების ძირითადი მიდგომა იწყება ლიბერტარიული ტრადიციიდან, რომელიც ხაზს უსვამს თავისუფალი ბაზრისა და კერძო საკუთრების უაღრესად დიდ მნიშვნელობას. იგი ამჟამად უმეტესად დაკავშირებულია თავისუფალ ბაზართან და განსაზღვრავს საქონლის და მომსახურების თავისუფლებას ყოველგვარი არაეთიკური ქცევის წესების გარეშე. ის ეფუძნება კანონის წესებს, საკუთრების უფლებას და კონტრაქტის თავისუფლებას და ხასიათდება ბაზრის შიდა და გარე ფაქტორებით, საკუთრების უფლების დაცვით, ეკონომიკური ინიციატივის თავისუფლებით (ხიზანიშვილი, 2012:443)

ძირითადი ნაწილი

რა იგულისხმება ეკონომიკური თავისუფლების ქვეშ და რამდენად მისაღებია ეკონომიკური თავისუფლების ის ფორმა, რაც დღეს გვაქვს, საზოგადოებისათვის? ქვეყანა ეკონომიკურად თავისუფლად ითვლება, თუ არ ზღუდავს ინდივიდუალურ არჩევანს, ნებაყოფლობით გაცვლას, კონკურენციის თავისუფლებას. აუცილებელი პირობაა კერძო საკუთრების დაცვა. ეკონომიკურად თავისუფალ საზოგადოებაში ყოველ ადამიანს აქვს სრული უფლება აქვს, სა-

კუთარი შეხედულებისამებრ და თავისუფალი არჩევანის პირობებში, საკუთარ მიზნებს მიაღწიოს, სახელმწიფო მის საქმიანობასა და არჩევანში არ ერევა.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Economic Freedom of the World) არის ეკონომიკური თავისუფლების საზომი, რომელიც შედგენილია ამერიკის პოლიტიკის კვლევის წამყვანი ცენტრის Heritage Foundation-სა და ჟურნალ „The wall street Journal“-ის მიერ. აღნიშნული ინდექსი 1995 წლიდან დგინდება. “ეკონომიკური თავისუფლების” მსოფლიო რეიტინგს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ინვესტიციების შემდგომი მოზიდვის კუთხით. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ათ კრიტერიუმს ემყარება. ესენია: ბიზნესის თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, სამთავრობო დანახარჯები, მონეტარული თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება, საკუთრების უფლებები, კორუფციისგან თავისუფლება, შრომის თავისუფლება.

HERITAGE FOUNDATION მინიჭებული ინდექსის მიხედვით ქვეყნებს 5 ჯგუფად ჰყოფს:

1. თავისუფალი (80-100%);
2. უპირატესად თავისუფალი (70-79.9%);
3. ზომიერად თავისუფალი (60-69.9%);
4. უპირატესად არათავისუფალი (50-59.9%);
5. რეპრესიული (0-49.9%).

„საქართველოში ეკონომიკურ თავისუფლებას ორი დამოუკიდებელი საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაცია—Heritage Foundation და Fraser Institute ზომავს. ორივე მათგანი თანხმდება, რომ ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოს მასშტაბით ბოლო 20 წლის მანძილზე პირველად 2008-2009 წლებში შემცირდა. ამ ორი ორგანიზაციის კვლევის მეთოდი ერთმა-

ნეთისგან განსხვავდება. Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 10 ტიპის თავისუფლებას ცნობს: ბიზნესის, ვაჭრობის, მონეტარული, ფისკალური, საინვესტიციო, ფინანსური, შრომის თავისუფლება, კორუფციისგან თავისუფლება, საკუთრების უფლებების დაცვა და მთავრობის ზომა“ (ჩინჩალაძე, 2018:152). თითოეული ფასდება 0-100 შკალით, სადაც 100 ქულა მაქსიმალურ თავისუფლებას ნიშნავს. Fraser Institute-ის კვლევა ეყრდნობა 42 სხვადასხვა საზომს და 5 კომპონენტს – მთავრობის ზომა; საკანონმდებლო სტრუქტურა და საკუთრების უფლების დაცვა; ჯანსაღი ფულის მისაწვდომობა; საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება; კრედიტის, შრომის და ბიზნესის რეგულირება. კომპონენტები იზომება 1–10 შკალით, უფრო მაღალი ქულა მეტ ეკონომიკურ თავისუფლებას ნიშნავს.

ეკონომიკური თავისუფლება არ ნიშნავს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობები იმდენად არის ერთმანეთში გადახლართული, იმდენად დინამიური და სიღრმისეული კავშირურთიერთობებია, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობის ცნება უფრო ანაქრონიზმად ჟღერს, ვიდრე XXI საუკუნის მონაპოვრად. ეს ეხება როგორც ქვეყნებს შორის ურთიერთობებს, ისე ფიზიკურ, თუ იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებს. ეკონომიკური თავისუფლების ქვეშ იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, არჩევანის თავისუფლება (აქუბარდია, 2012:22) მსოფლიო კრიზისების გაჭიანურებულმა მიმდინარეობამ საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის გაუმჯობესების აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა. იმისათვის, რომ ეკონომიკური თავისუფლება არ შეიზღუდოს, სახელმწიფო ვალდებულია დაცვას იგი.

თანამედროვე საზოგადოება თანხმდება ეკონომიკური თავისუფლების აუცილებლობაში. თუმცა ისმის ბუნებრივი კითხვა, თუ როდის უნდა მოხდეს ეკონომიკური თავისუფლების დასაცავად სახელმწიფოს მხრიდან მისი პოლიტიკის მეშვეობით ეკონომიკის რეგულირება? პასუხი ერთი შეხედვით მარტივია – მაშინ, როდესაც არჩევანი იზღუდება, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება ეკონომიკური რეგულირება, როცა ირღვევა თავისუფალი, ალტერნატიული და ოპტიმალური არჩევანი, ეკონომიკაში მოქმედ ერთეულთათვის ისე, რომ მას საბაზრო რეგულატორები (მოთხოვნა, მიწოდება, ჯანსაღი კონკურენტული გარემო და ა.შ.) ვერ არეგულირებენ. (გერლიანი, 2011)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“-ს 2020 წლის კვლევის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად: „Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2020 წლის კვლევის მიხედვით, საქართველოს სარეიტინგო ქულამ ისტორიული მაქსიმუმი 77.1 ქულა შეადგინა, მსოფლიო რეიტინგში 4 პოზიციით დაწინაურდა და მე-12 პოზიცია დაიკავა. წინა წელთან შედარებით საქართველო ევროპის რეგიონში 2 პოზიციით დაწინაურდა - ამ შედეგით საქართველო ევროპის რეგიონის 45 ქვეყანას შორის მე-6 ადგილზეა „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით. საქართველოს საერთო ქულა აღემატება როგორც რეგიონის (69.8 ქულა), ისე მსოფლიოს საშუალო ქულას (61.6 ქულა). (Heritage Foundation, 2020)

2020 წლის რეიტინგი შეფასებას აკეთებს შემდეგი 4 მიმართულებით:

- კანონის უზენაესობა;
- მთავრობის მოცულობა;
- რეგულაციების ეფექტიანობა;

➤ ღია ბაზარი.

აღნიშნული მიმართულებები, თავის მხრივ, მოიცავს 12 კომპონენტს. აღსანიშნავია, რომ რეიტინგის 12 კომპონენტიდან საქართველომ მდგრადობა გაიუმჯობესა 5 ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორცაა:

- საკუთრების უფლება (68.6 ქულა);
- მთავრობის სამართლიანობა (64.8 ქულა);
- სასამართლოს ეფექტიანობა (57.9 ქულა);
- მონეტარული თავისუფლება (78.3 ქულა);
- ფისკალური თავისუფლება (94.4 ქულა).

2020 წელს საკუთრების უფლების ინდიკატორში საქართველომ აღიარება მოიპოვა და ქვეყნის შეფასებამ 68.6 ქულა შეადგინა. 2012 წელს ქვეყანას აღნიშნულ ინდიკატორში მხოლოდ 40.0 ქულა ჰქონდა. მთავრობის სამართლიანობის კომპონენტში საქართველოს შეფასება 6.3. ქულით გაუმჯობესდა და 64.8 ქულა შეადგინა (ეკონ. სამინისტრო, 2020). კომპონენტის შეფასება ეფუძნება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს“, მსოფლიო მართლმსაჯულების ინდექსს (WJP), საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსს“ და „Trace Matrix“ რეიტინგს. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში კორუფციის არ არსებობის აღიარებას და მთავრობის ეფექტიანობას. მონეტარული თავისუფლების ინდიკატორი აფასებს ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელს და ფასდება ბოლო 3 წლის პერიოდის ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი. საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა: ისლანდია, ნიდერლანდები, ლიეტუვა, აშშ, ლუქსემბურგი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი, კორეა, გერ-

მანია, ნორვეგია, ავსტრია, იაპონია, ყატარი, ლატვია, სომხეთი, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა და სხვა.

Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2020 წლის კვლევის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკა კვლავ აგრძელებს თავის შთამბეჭდავ 7 წლიანი ზრდას თავისუფლების სხვადასხვა მიმართულებებით. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმები. მრავალწლიანი რეფორმების შედეგია კორუფციის აღმოფხვრა, რეგულაციების შემცირება და გადასახადების გამარტივება. ყოველივემ ხელი შეუწყო ყველა ასპექტში ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების გაუმჯობესებას. (Heritage Foundation, 2020) ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შეფასება ძირითადად ეყრდნობა ისეთი საერთაშორისო რეიტინგების წყაროებს, როგორცაა მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგი (Doing Business), გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI) და მსოფლიო მართლმსაჯულების ინდექსი (WJP).

შეფასების ამ დიდ სისტემაში უმნიშვნელოვანესია საკუთრების უფლება. კერძო საკუთრების პირობებში, სარგებელი თუ ზარალი მესაკუთრესია, რის გამოც მას რესურსის ეფექტიანად გამოყენების სტიმული უჩნდება. როცა რესურსი კოლექტიურ საკუთრებაში გადადის პასუხისმგებლობა იფანტება, მესაკუთრეთა განსხვავებული მოტივები კი, საბოლოო ჯამში, ამ რესურსის შენარჩუნებას და გონივრულ გამოყენებას ნაკლებ მოსალოდნელს ხდის. კიდევ უარესი შედეგი დგება, თუკი აქტივი სახელმწიფო საკუთრებაში გადადის, რადგან მაშინ სარგებელსა და ზარალზე პასუხისმგებლობა არათუ გაფანტულია, არამედ განსხვავებული

ბულ ჯგუფებზე ნაწილდება. ცნობილია ჩეხეთის, პოლონეთისა და უნგრეთის შემთხვევები, სადაც სოციალიზმის დასრულების შემდეგ, კერძო საკუთრებაში გადასული კომპანიების მომგებიანობა სულ რამდენიმე წელიწადში, საშუალოდ, 77%-ით გაიზარდა. ასეთი ისტორიები, ბევრია ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, თუმცა პრივატიზაცია განვითარებულ ქვეყნებშიც პერმანენტული პროცესია და მსოფლიო მასშტაბით კერძო საკუთრებაში გადასული აქტივების ღირებულება, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, ფაქტობრივად, ყოველწლიურად იზრდება (რაქვიაშვილი..., 2020).

დასკვნა

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შედეგების გათვალისწინება რამდენიმე მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი:

1. ინვესტორები სწორედ ასეთი ტიპის ინდექსების შედეგების საფუძველზე იღებენ ქვეყანებში ინვესტიციების დაბანდების გადაწყვეტილებას.
2. მაღალი ეკონომიკური თავისუფლების მქონე ქვეყნები არიან უფრო დემოკრატიულები, ხოლო მათი მოსახლეობა - უფრო მდიდარი, ჯანმრთელი და განათლებული.
3. ინდექსის მიზანია გამოავლინოს სისუსტეები სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში, რათა მათ შეძლონ სახელმწიფო რესურსების ყველაზე საჭირო მიმართულებებით მიმართვა.
4. საქართველოსთვის კვლავ რჩება გამოწვევად ფინანსური სექტორის თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის დაბალი დონე, კონკრეტულად კი საკუთრების უფლების დაუცველობა, სასამართლო ხელისუფლების არასაკმარისი დამოუკიდებლობა.
5. ხელისუფლების მიერ რეფორმების განხორციელება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისთვის და საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის

უზრუნველყოფისთვის.

6. ეკონომიკური თავისუფლების პირობებში ინდივიდებს მეტი შესაძლებლობა აქვთ საკუთარი ყოველდღიური ცხოვრება დამოუკიდებლად გააკონტროლონ. ამდენად, ეკონომიკური თავისუფლება ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასაც.

7. საქართველო დაბალი ტექნოლოგიების ქვეყანაა, რის გამოც პროდუქციის წარმოება ჩვენ უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებს. ჩვენი აზრით, ყველა ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ჩვენთვის ანტიდემპინგური კანონის ამოქმედება უადრესად საჭირო და მნიშვნელოვანია. იმპორტული პროდუქტის ნაწილობრივი ჩანაცვლებაც რომ მოვახერხოთ, მიგვაჩნია, რომ კანონი ძალიან დაეხმარება ადგილობრივ წარმოებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“-ს 2020 წლის კვლევა. URL: <http://www.economy.ge/?page=news&nw=1450> (გადამოწმებულია 13.12.2020)
- ჩინჩალაძე ზ. (2018) პიროვნების ეკონომიკური თავისუფლება მეწარმეობის განვითარების ქვაკუთხედი. „ბიზნეს ინჟინერი“, #1-2 გვ.150-155
- ხიზანიშვილი ვ. (2012) ეკონომიკური თავისუფლება, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, №5, გვ. 443-444.
- აქუბარდია თ. (2012) ეკონომიკური თავისუფლება და პოლიტანატომია. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. თებერვალი, გვ. 20-25.
- ერთი ადგილის ტკეპნა უკუსვლას ნიშნავს: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2011, ტაბულა, 2011, №39, გვ. 26-27
- გერლიანი რ. (2011) ეკონომიკური თავისუფლების როლი და ფარგლები ეკონომიკურ პოლიტიკაში) URL:<https://ramazepec.wordpress.com/2011/05/02> (გადამოწმებულია 13.12.2020)
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო URL:<http://www.economy.ge/?page=news&nw=1569> (გადამოწმებულია 13.12.2020)
- რაქვიაშვილი ა., ხურციძე ა., ქეცბაია თ. (2020) კერძო საკუთრება და ეკონომიკური განვითარება. კვლევითი ინსტიტუტის Gnomon Wise-ს კვლევა. URL:<https://www.girchi.com/ge/media/news/3171-kerdzo-sakutreba-da-ekonomikuri-ganvitareba> (გადამოწმებულია 13.12.2020)

NINO ORJONIKIDZE

Professor of Gori State Teaching University,

Georgia

orjonikidzen@gmail.com

**THE PLACE OF ECONOMIC FREEDOM IN
THE ECONOMIC POLICY OF THE COUNTRY
SUMMARY**

A market economy is based on economic freedom, which is revealed in freedom of choice. Choice is the main precondition for competition, and competition is the main driving force of economic development. Economic freedom contributes to the development of the economy of country and the well-being of the population the country depends on it. The International Heritage Foundation has been conducting annual surveys since 1995 on the fulfillment of these conditions in 180 countries around the world, including Georgia. The index of economic freedom in Georgia changes every year. A country is considered economically free if it does not restrict individual choice, voluntary exchange, freedom of competition. A necessary condition is the protection of private property. In an economically free society, every person has the full right, at his own discretion and in the conditions of free choice, to achieve his own goals, the state does not interfere in its activities and choices. It should be noted that economic freedom does not mean economic independence. At the present stage of society's development, the economic activities of any economic entity are so intertwined, so dynamic and in-depth, that the notion of economic independence sounds more an anachronistic than a 21st-century achievement. This applies to relations between countries, as well as relations between

individuals and legal entities. Economic freedom means, above all, freedom of choice.

Index of Economic Freedom (Economic Freedom of the World) is a measure of economic freedom compiled by the Heritage Foundation, a leading center for American policy research and „The Wall Street Journal“ . This index has been established since 1995. The world rating of "economic freedom" has a great importance in terms of further attracting investment in the country. The Index of Economic Freedom is based on ten criteria. These are: freedom of business, freedom of trade, fiscal freedom, government costs, monetary freedom, freedom of investment, financial freedom, property rights, freedom from corruption, freedom of labor.

The information on the results of survey of the Heritage Foundation "Economic Freedom Index" 2020 is posted on the official website of the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, according to the survey 2020 of the "Heritage Foundation" Index of Economic Freedom " rating score of Georgia reached a historical maximum - 77.1 points, it was promoted by 4 positions in the world ranking and took the 12th position. Compared to the previous year, Georgia was promoted by 2 positions in the European region - with this result Georgia is in the 6th place among 45 countries in the European region with the status of "mostly free". Total score of Georgia exceeds both the regional (69.8 points) and the world average point (61.6 points).

In our view, property rights are crucial in this large system of valuation. In terms of private ownership, the benefit or loss is the property of the owner, which gives him an incentive to use the resource efficiently. When a resource is transferred to collective ownership, the responsibilities are dispelled, and the different motives of the owners ultimately make the preservation and reasonable use of that resource less possible. An even worse

result is achieved if the asset becomes state-owned, because then the liability for profit and loss is not dispersed but divided among different groups. There are known cases in the Czech Republic, Poland and Hungary, where after the end of socialism, the profitability of privately owned companies increased by an average of 77% in just a few years. There are many such stories in the former socialist countries, although privatization is a permanent process in developed countries as well, and the value of privately owned assets around the world has, in fact, been rising every year since the 1980s.

KEYWORDS: Competition, Welfare, Free Market, Index, Dumping, Measure, Tariff.

J.E.L. classification: E6, G28, F53.

References:

1. The survey 2020 of the "Heritage Foundation" Index of Economic Freedom ". URL: <http://www.economy.ge/?page=news&nw=1450> (Checked 13.12.2020)
2. Chinchaladze Z. (2018) Economic freedom of the individual - the cornerstone of entrepreneurship development."Business Engineering",#1-2 P.150-155
3. Khizanishvili V. (2012) Economic Freedom, Collection of Scientific Papers of Paata Gugushvili Institute of Economics, TSU, №5, p. 443-444.
4. Akubardia T. (2012) Economic Freedom and Politanatomy. "Business and Legislation". February, p. 20-25.
5. Taping one place means going backwards: Index of Economic Freedom 2011, Tabula, 2011, №39, p. 26-27
6. Gerliani R. (2011)The role and scope of economic freedom in economic policy) URL:<https://ramazepec.wordpress.com/2011/05/02> (Checked 13.12.2020)
7. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia URL: http://www.economy.ge/_page=news&nw=1569 (Checked 13.12.2020)
8. Rakviashvili A., Khurtsidze A., Ketsbaia T. (2020) Private property and economic development. Research by Gnomon Wise Research Institute. URL:<https://www.girchi.com/ge/media/news/3171-kerdzo-sakutreba-da-ekonomikuri-ganvitareba> (Checked 13.12.2020)

DEVELOPMENT OF «LIABILITY INSURANCE» IN GEORGIA FOR THE LAST 10 YEARS» (OVERVIEW OF 2008 - 2018)

Roland Bregvadze

Kutaisi University, Invited lecturer; Insurance company Aldagi regional representative, Georgia
roland.bregvadze@unik.edu.ge

Keywords: Liability insurance, Insurance product, Insurance premium, Reimbursed loss, Dynamics, Compulsory insurance

J.E.L. classification: A0, G2, I0

Abstract

The article discusses the development prospects of liability insurance in Georgia as a field, discusses various statistical data on insurance products for 2008-2018, including liability insurance, makes comparative analysis, discusses the example of advanced countries in terms of liability insurance development, discusses problems and future prospects of liability insurance for development

Introduction

In Georgia, the insurance industry has been developing since 1997, since the establishment of insurance development strategy by the state, the LEPL State Insurance Supervision Service, the main insurance regulation law on insurance, normative and sub-legal acts have been developed, and an important place has been given to insurance relations in Georgian civil, air, marine and customs code. Several types of compulsory insurance have been introduced.

Over time, with the realization of the benefits of insurance by the public and private business, there has been a growing demand for the various types of insurance offered by private insurance companies. Including types of personal insurance, property and financial risk insurance. There was also some demand

for various liability insurance in both the corporate and retail markets.

Nevertheless, judging by the statistics of the Georgian insurance market from 2008 to 2018, we will see that liability insurance is less prominent. Leading among the types of insurance are types of insurance such as medical insurance, auto insurance, property and life insurance. Liability insurance ranks sixth and seventh, both in terms of premiums attracted and policies issued.

Liability insurance is less in demand today and is preceded by types of insurance such as medical insurance, motor insurance, property and life insurance.

The separation of the type of liability insurance and the importance of its development is due to the fact that it is impossible to attribute it to property or personal insurance. If the object of property insurance is the property of a natural or legal person, and the property of a person - human life, health and ability to work, then the object of liability insurance is the liability of the insured (insured) for damage to a third party in accordance with law or contractual obligations.

Therefore, **the aim of the paper** is to reflect to some extent the problems of liability insurance development in Georgia and to offer recommendations for their solution.

The actuality of this topic is due to the fact that the development of liability insurance is of great

importance for both individuals and society as a whole, in that this type of insurance can protect individuals in business relationships from liability in various cases, unintentionally causing damage to others. Given that the insurance covers legal costs related to the defense and compensation to be paid in favor of the victim, it also helps the insured to settle an apparently reasonably clear claim.

Main text

Statistical data for 2008-2018, comparative analysis

In 2008-2018, with the emergence of demand in the insurance market, various types of liability insurance were gradually created, including those whose formation was partly due to the requirements of the law.

Types of liability insurance that are being operated since 2008 (Tsertsvadze..., 2016:17):

1. Voluntary general civil liability insurance
2. Employer Liability Insurance
3. Professional liability insurance of the private security service
4. Professional Liability Insurance for Architects and Engineers
5. Professional liability insurance for auditors and accountants
6. Liability insurance of tour operators
7. Liability insurance of accredited inspection

bodies carrying out periodic security inspections of an object with increased technical hazards.

8. Compulsory professional insurance of notaries
 9. Homeowner Liability Insurance (in Retail Property Insurance)
 10. Civil liability insurance related to the use of land transport.
 11. Liability insurance related to the use of air vehicles
 12. Liability insurance related to the use of floating vehicles
 13. Carrier and Freight Forwarder Liability Insurance
 14. Professional Liability Insurance of Road Implementation Testing Centers
 15. D&O - Liability insurance for directors and executives
 16. Compulsory third party liability insurance by owners of mass gathering facilities
 17. CAR - Liability insurance (related to repair and construction work)
 18. Doctors' professional liability insurance ("Mal med")
 19. Third Party Liability Insurance in Cyber Insurance Privacy and Security Liability
- From 2008 to 2018, the number of policies and premiums issued on the type of liability insurance varied gradually. (See table #1, 1.1, 1.2) , (Diagram #1)

Table# 1


**Share of premiums attracted by liability insurance in 2008-2018
in relation to the total market volume (GEL)**

year	Total earned premium	Liability insurance line premium: MARINE TPL, AVIATION TPL, MTPL, GENERAL CIVIL LIABILITY	ratio
2008	272,013,220	9,418,663	3.46%
2009	360,449,124	12,231,087	3.39%
2010	361,457,160	13,016,154	3.60%
2011	321,147,047	12,649,284	3.94%
2012	515,471,427	16,372,530	3.18%
2013	471,066,120	17,197,400	3.65%
2014	302,640,671	21,561,746	7.12%
2015	359,798,773	27,841,675	7.74%
2016	393,038,614	39,370,486	10.02%
2017	441,400,962	36,498,902	8.27%
2018	542,200,592	74,494,096	13.74%

Source: LEPL State Insurance Supervision Service, Insurance Market Statistics <http://insurance.gov.ge/Statistics.aspx?lang=ka-GE>

Diagram# 1

**Share of premiums attracted by liability insurance in 2008-2018
in relation to the total market volume (GEL)**



in relation to the total market volume (GEL)

Source: LEPL State Insurance Supervision Service, Insurance Market Statistics <http://insurance.gov.ge/>

Statistics.aspx?lang=ka-GE

Table# 1.1

**Share of different types of liability insurance premiums
MARINE TPL, AVIATION TPL, MTPL, GENERAL CIVIL LIABILITY**

Year	MARINE TPL	AVIATION TPL	MTPL	General Civil Liability
2008	0.00%	0.00%	1.15%	2.31%
2009	0.00%	0.00%	1.49%	1.90%
2010	0.009%	0.60%	0.97%	2.01%
2011	0.004%	0.83%	1.20%	1.90%
2012	0.010%	0.80%	0.82%	1.55%
2013	0.000%	0.92%	0.95%	1.78%
2014	0.002%	1.25%	2.00%	3.87%
2015	0.003%	0.92%	2.34%	4.46%
2016	0.008%	1.19%	2.40%	6.41%
